# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 12 იანვარი 2007 №4 (2927) ფასი 50 თეთრი



## არველაძემ და ვან გაალმა ცქიტიშვილი ალკმაარს წარუდგინეს

ინტერვიუ ლევან ცქიტიშვილთან



## ფერი ფერსაო, გოგიტა ჰართსაო

არც ყაზანის „რუბინი“ და არც მოსკოვის „ლოკომოტივი“ — გოგიტა გოგუა შოტლანდიურ „ჰართსში“ გადადის. საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი ნალჩიკის „სპარტაკიდან“ რომ წამოვიდა, რუსულ კლუბებთან ერთად „ტრაბზონსფორსა“ და „გალათასარაიში“ მის შესაძლო გადასვლაზეც ითქვა, თუმცა ამას უკვე აზრი აღარ აქვს...

„ზეგ შოტლანდიაში მივფრინავ. ყველაფერი გადაწყვეტილია, „ჰართსთან“ ექვსთვიან კონტრაქტს გავაფორმებ. ეს ტრანსფერი მამუკა ჯუღელმა და გოჩა თამაზაშვილმა მოაგვარეს“ — გვითხრა გოგუამ, რომელმაც გუშინ „ოლიმპი“ — „სიონის“ ტესტ-მატჩში ითამაშა და ულამაზესი გოლიც შეაგდო.

„ჰართსი“ კი ის კლუბია, რომელსაც ცნობილი ოლიგარქი ვლადიმირ რომანოვი პატრონობს.

შედეგებით კი, გეცოდინებათ, „ჰართსი“ შარშან ფეხდაფეხ მისდევდა „სელტიკს“ და მეორე ადგილზე გავიდა, წლეულს კი ისე ველარ მძლავრობს: მეოთხე ადგილზეა და იმავ „სელტიკს“ 19-ით, „რეინჯერსს“ კი 2 ქულით ჩამორჩება.

მოკლედ, გულიანი თამაშით გამორჩეულმა გოგიტა გოგუამ გულიანი შოტლანდია აირჩია. ფერი ფერსაო, ამაზეა ნათქვამი...

## გოგუამ კილტი მოიცვა








## აწ უკვე ბატონო და მაინც რამაზ: გმადლობთ და გილოცავთ!



## ლევან ცქიტიშვილი:
# ალკმაარს შოთა, ბურთი და კულტურა მიადვილებს

საქართველოს ეროვნული გუნდის შუახაზელმა ლევან ცქიტიშვილმა გუშინ პირველად ივარჯიშა „ალკმაარში" — ლუის ვან გაალის გუნდში მისი ჩარიცხვის საკითხი დაახლოებით ერთ კვირაში გადაწყდება. „ალკმაარს" შვებულება სწორედ გუშინ დაუსრულდა და ახალ წელს გუნდის პირველ ვარჯიშზე შოთა არველაძის გარდა კიდევ ერთი ქართველი იყო. ცქიტიშვილს ჰოლანდიაში ვარჯიშის შემდეგ შევეხმიანეთ...

— როგორი იყო პირველი ვარჯიში „ალკმაარში"?

— ნორმალური. ერთი ისაა, რომ ცუდი ამინდი იყო და დარბაზში მოგვიწია ვარჯიშმა. დღეს ერთი ვარჯიში გვქონდა, ხვალიდან კი ორჯერადი გვექნება.

— ალბათ უკვე ესაუბრე გუნდის მთავარ მწვრთნელს ლუის ვან გაალს...

— რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ. „ალკმაარში" ჩემი ტრანსფერის საკითხი ერთ კვირაში გაირკვევა.

— კონკრეტულად რა პოზიციაზე სჭირდები ვან გაალს?

— მარცხენა ან საყრდენ ნახევარმცველად.

— „ალკმაარი" საკონტროლო მატჩს არ გამართავს?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ არა მგონია, რადგან თითქმის ერთ კვირაში ჰოლანდიაში სეზონი განახლდება. ვან გაალი ვარჯიშებზე და ორმხრივ თამაშებში დამაკვირდება.

— ბერძნულ „პანიონიოსთან" ჯერაც გაკავშირებს კონტრაქტი და, თუ „ალკმაარში" კარგად წავივიდა ყველაფერი, „პანიონიოსიდან" რაიმე დაბრკოლებას ხომ არ ელი?

— „პანიონიოსს" უკვე ველაპარაკე ამის თაობაზე და შეთანხმებასაც მივაღწიე — თუ „ალკმაარში" ყველაფერი კარგად წამივიდა, ფაქტობრივად, თავისუფალი აგენტის სტატუსით გამომიშვებენ.

— ბუნდესლიგამოვლილი, გამოცდილი ფეხბურთელი ხარ, თუმც ახლა ახალ გუნდში, ახალ გარემოში მოხვდი — როგორ შეატყვე, რთულია „ალკმაარში" ადაპტაცია?

— რთული კი არა, პირიქით — სულ ბურთთან ხარ და ვარჯიშები პასის კულტურაზეა აგებული.

— საქმეს ალბათ ისიც გიადვილებს, რომ „ალკმაარში" ეული ქართველი არ ხარ...

— რა თქმა უნდა, შოთას ფაქტორი ჩემთვის ძალიან დიდ როლს ასრულებს. გუნდთანაც ჯერ მან წარმადგინა, მერე კი ვან გაალმა.

**დავით თავართქილაძე**

# ასათიანის გერმანული კურსი



**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი დღეს გერმანულ რუიტში ჩავა, სადაც კიდევ ერთ სარეაბილიტაციო კურსს გაივლის.

მალხაზი რუიტში სამ კვირას დაყოფს და ექიმებთან კონსულტაციების გარდა ვარჯიშსაც არ შეწყვეტს.

როგორც შევიტყვეთ, სარეაბილიტაციო კურსის ბოლოს ექიმები ასათიანს ახალ პროგრამას შეუდგენენ, რომელშიც გაცილებით გაიზრდება დატვირთვები.

„ლოკომოტივის" სამედიცინო შტაბი კი იმედოვნებს, რომ ასათიანი გუნდს დასკვნით შეკრებაზე გაჰყვება და სრული დატვირთვით ვარჯიშსაც შეძლებს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ბობოხიძე კრივბასშია



მიხეილ ბობოხიძე (მარცხნივ) და ლადო ბურდული „კრივბასის" ვარჯიშზე

**უკრაინული** „კრივბასის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ ტარანმა რამდენიმე დღის წინ თქვა, გასინჯვაზე სხვათა გარდა ქართველ თავდამსხმელსაც ველიო და, ასეც მოხდა — ლადო ბურდულის და ვასილ გიგიაძის „კრივბასში" თბილისის „დინამოს" მიერ ტრანსფერზე დაყენებული 26 წლის მიხეილ ბობოხიძე მივიდა.

„კრივბასი" ახლა მშობლიურ კრივოი როგში ემზადება, ხვალ კი ანთალიაში მიემგზავრება შეკრებაზე და ალბათ ბობოხიძესაც წაიყვანს.

შეგახსენებთ, რომ ბობოხიძემდე „კრივბასში" კიდევ ერთი ჩვენებური, თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველი გიორგი ფეიქრიშვილი ისინჯებოდა, მაგრამ ის შინ დაბრუნდა.

**ნიკა ჯორჯაძე**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი: B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე



უოლტერ სმიტი და ტომი ბერნსი

# რა აკავშირებს სმიტს კუბასთან და ამერიკასთან
## შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ თავისი კანდიდატი გამოაჩენა

**სკოტთა** არმია უსარდლოდაა — შოტლანდიის ნაკრების მენეჯერმა უოლტერ სმიტმა ეროვნულ გუნდს შოტლანდიის ეროვნული მნიშვნელობის კლუბი „გლაზგო რეინჯერსი" ანაცვალა, რის გამოც შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია სმიტს და „რეინჯერსს" ოფიციალურად სთხოვს საკომპენსაციო თანხას — სმიტს ხომ შოტლანდიის ასოციაციასთან კონტრაქტი აკავშირებდა.

მაგრამ ვინ გაწვრთნის უთავოდ დარჩენილ სკოტთა არმიას?

ბრიტანულ მედიაში გაჟღერებული კანდიდატები ერთია, გუშინ კი შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის მთავარმა აღმასრულებელმა პირმა დევიდ ტეილორმა ისეთი სახელი და გვარი გააჟღერა, არავინ რომ არ ელოდა.

„კანდიდატების დასახელებას ახლა არ ვაპირებთ და საამისოდ ჩვეულებრივი მიზეზი გვაქვს — იმის ფიქრით და ანალიზით ვართ დატვირთულნი, რასაც მომხდარი პროცესები გვკარნახობს. თუმც, ვფიქრობთ, რომ ტომი ბერნსი თავის საქმეს ყოველთვის კარგად აკეთებდა და დარწმუნებულნი ვართ, სხვებთან ერთად მისი განხილვაც შეიძლება ნაკრების მწვრთნელის კანდიდატად" — განაცხადა გუშინ ტეილორმა.

ბერნსი დიდი ძმა უოლტერის (ასე ეძახიან უოლტერ სმიტს შოტლანდიაში) ასისტენტი გახლდათ და, როცა სმიტამდე შოტლანდიის ნაკრებს გერმანელი ბერტ ფოგტსი წვრთნიდა, მაშინაც ნაკრების სამწვრთნელო შტაბში იყო.

ბრიტანული მედია ბერნსის ხსენებამ არ ალაფრთოვანა, თუმც კომპლიმენტი მასაც უძღვნეს — ნაკრებში დიდხანს უმუშავია და ყველასგან დიდი ნდობით სარგებლობსო.

ალექს მაკლიში, კენი დალგლიში, გრემ სუნესი, გარი მაკალისტერი... კანდიდატები ისევე ბევრია, როგორც მეტაფორები ბრიტანულ პრესაში.

ნებისმიერი მუსიკის მასწავლებელი გეტყვით, რომ ძალიან ძნელია იმ ტუჩებით სიმღერა, რომლებიც სხვას ეფერებიან.

„ტუჩებში" დიდი უოლტერი იგულისხმება, „სხვაში" კი „რეინჯერსი".

ერთხელ „რეინჯერსის" თავმჯდომარემ ძია უოლტერის ნომერი აკრიფა და ის ალბათ გუანტანამოს ყურედან უნდა ყოფილიყო გამოქცეული, ვისაც ჰემპდენი არაფრად ულირს.

გუანტანამოს ყურეში ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური ციხეა, სადაც ქვეყნისთვის განსაკუთრებით საშიში პატიმრები ჰყავთ დამწყვდეული, ჰემპდენი კი ის ალაგი, სადაც შოტლანდიის ეროვნულ გუნდი თამაშობს.

ასეთ ყბაში ჩავარდა ძია უოლტერი.

**დავით თავართქილაძე**

### იტალია
თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი

მილანი 2:0 არეცო

### ესპანეთი
თასის მერვედფინალი
პირველი მატჩი

ბეტისი 0:0 რეალი

### საბერძნეთი
თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

იონიკოსი 1:2 კერკირა (0:0)
ლარისა 3:1 ოფი (1:1)

### EFES PILSEN CUP
ფინალი

ვერდერი 2:1 ფეიენოორდი

# ლიდერ-ჩემპიონის ლამაზი ფრე



გაიოზ კოპოლაძის ფოტო

ოლიმპელი რევაზ გოცირიძე უგოლოდ დაშვრა

## ბოლნისმა და რუსთავმა ამხანაგურად იამხანაგეს

ოლიმპი 2:2 სიონი

1:0 გოგუა, 1:1 დარასელია, 1:2 კვიტაიშვილი, 2:2 დვალიშვილი

ოლიმპი: მ. ალავიძე, მახვილაძე, ბერუაშვილი, ხუბუა, მენთეშაშვილი, არზიანი, ჩხარტიშვილი, გოგუა, დვალიშვილი, რ. გოცირიძე, ლ. რეხვიაშვილი

*შეცვლაზე შევიდნენ: ოდიშარია, ჭეიშვილი, ლაბაძე*

სიონი: მამალაძე, სეთურიძე, ლ. ჭელიძე, გ. ონიანი, კობაური, ქებაძე, სილაგაძე, ა. ალავიძე, დარასელია, კახელიშვილი, ჩასემი

*შეცვლაზე შევიდნენ: რაქვიაშვილი, სვანიძე, ფრიდოლინი, ჩაგელიშვილი, ბაჯელიძე, ოქროპირიძე, უგრეხელიძე, კვიტაიშვილი, ევოჩე, ცხადაძე*



გაიოზ კოპოლაძის ფოტო

გოგიტა გოგუამ ტყვიასავით გაისროლა

**„ოლიმპი“** და „სიონი“ ბოლო ოთხ დღეში უკვე მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს.

ბოლნისელები „თანამეგობრობის თასისთვის“ ემზადებიან და ამ ტურნირზე სწორედ „ოლიმპიდან“ დაიმატეს ფეხბურთელები, ამიტომ ამ გუნდთა ამხანაგურად „ამხანაგობა“ მაინცდამაინც გასაკვირიც არ იყო. თან „ოლიმპს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს და ფეხბურთელების საქმეში ნახვა რევაზ ძოძუაშვილსაც ძალიან სურდა.

რუსთაველებმა შეხვედრა 3-5-2 სქემით დაიწყეს, შემდეგ 4-4-2-ზე გადაეწყვნენ, თუმცა საბოლოოდ ძოძუაშვილმა თავის საყვარელ 4-5-1-ს არ უღალატა და თამაშიც ასე ჩაამთავრა.

თავიდან უპირატესობა „სიონისა“ იყო, ბევრი ახალი ფეხბურთელის ყოლის მიუხედავად „სიონს“ შეუთამაშებლობისა არაფერი ეტყობოდა. კახა ცხადაძის შეგირდებს განსაკუთრებით ფლანგებიდან შეტევები გამოსდიოდათ, წინ კი მუდამ მოუსვენარი ერიკ რომეო ჩასემი იყო გოლზე დაგეშილი.

მაგრამ მერე გოგუა-მენთეშაშვილი-არზიანი-დვალიშვილის კვარტეტი მოედნის ცენტრში შესანიშნავად ათამაშდა, თამაშიც დაალაგა და მეტოქის კარსაც თანდათან გაუშინაურდა. საკმაოდ ლაღი ბურთაობა გაჩაღდა და გოლებიც შესანიშნავი გავიდა.

პირველ ტაიმში ერთი გოლი ვნახეთ — ბოლნისელმა მცველებმა ბურთი საჯარიმოს კუთხისკენ აიტანეს, საიდანაც გოგიტა გოგუამ მოულოდნელად მარჯვენა ფეხით ისეთი დააქუხა, ნებისმიერი ფეხბურთელი მოაწერდა ხელს.

არანაკლები სილამაზის გამოდგა ვიტალი დარასელიას გამთანაბრებელიც — არჩილ ალავიძემ მარცხენა ფლანგიდან მარჯვენაზე გიორგი კახელიშვილი მოძებნა, მანაც საჯარიმოს წინა ხაზთან თავით დაუგდო დარასელიას, რომელმაც „მაკრატელათი“ ცხრიანში ჩასვა — 1:1.

ამის შემდეგ ცხადაძემ ძირითადი შემადგენლობა დაასვენა, მაგრამ „სიონი“ მაინც დაწინაურდა, გიორგი კვიტაიშვილმა მცველთა შეცდომით ისარგებლა და 1:2.

მალევე ვლადიმერ დვალიშვილმა 30-32 მეტრიდან უძლიერესად გაისროლა და ზურაბ მამალაძე უშანსოდ დატოვა.

შეხვედრის ბოლოს კი ზურაბ მენთეშაშვილს ორჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მენთეშაშვილი ძვირი სიამოვნებაა

## თუ შინიკი არ გაჯიუტდა, ოლიმპი იჯარაზე იფიქრებს



გაიოზ კოპოლაძის ფოტო

**რუსთავის** „ოლიმპმა“ ბოლნისის „სიონთან“ გამართულ ტესტ-მატჩში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი ათამაშა.

გეცოდინებათ, მენთეშაშვილი შარშან იაროსლავლის „შინიკში“ თამაშობდა, რომელიც რუსეთის პრემიერლიგიდან გავარდა.

მოგვიანებით გუნდში ახალი მწვრთნელი სერგეი იურანი მივიდა, რომელმაც ქართველ ფეხბურთელზე უარი თქვა და ტრანსფერზე დააყენა. მენთეშაშვილის „ოლიმპში“ გამოჩენა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელიცაა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა გვითხრა, რომ რუსთავულ კლუბში მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობს და ახალი კლუბის ვარიანტს ელის.

ფაქტია, გუშინდელ შეხვედრაში მენთეშაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რაც მატჩის შემდეგ „ოლიმპის“ მწვრთნელმა *რევაზ ძოძუაშვილმაც* აღნიშნა...

— ასეთი დონის ფეხბურთელები საქართველოს ჩემპიონატს ნამდვილად აკლია. მენთეშაშვილი ცუდად არც „შინიკში“ გამოიყურებოდა და გასაკვირია, რატომ თქვეს მასზე უარი.

**— მენეთეშაშვილის „ოლიმპში“ დარჩენას ხომ არ უნდა ველოდოთ?**

— ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე მისი ჩამოყვანა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

**— იჯარაზეც არ ფიქრობთ?**

— როგორც ვიცი, „შინიკი“ მისთვის ახალ კლუბს ეძებს. ისე კი, შესაძლოა, სამთვიანი იჯარით ვინათხოვროთ, თუ თავად ფეხბურთელიც მოინდომებს და თანხაც არ იქნება უსაშველო. სიმართლე ვთქვა, თუ ახალი კლუბი არ გამოუჩნდა, ეს თავად ზურასთვისაც მომგებიანი იქნება — „ოლიმპს“ დიდი ამბიცია აქვს და მომავალში კარგი გუნდის მოძებნა არც აქედან გაუჭირდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ახალი დირექტორის ახალი გეგმები



გაიოზ კოპოლაძის ფოტო

ბოლნისის „სიონი“ „თანამეგობრობის თასისთვის“ რუსთავის „ოლიმპიდან“ ნათხოვარი ფეხბურთელებით კი ძლიერდება, თუმც კლუბში სხვა ცვლილებაცაა — არჩილ შაკიაშვილის ნაცვლად გენერალურ დირექტორად მალხაზ აბრამიშვილი დაინიშნა, რომელსაც გუშინ ბოლნისელთა სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ...

— ახლა გუნდი შეკრებაზეა და, შეიძლება ითქვას, ამ ეტაპზე ყველაფერი დამაკმაყოფილებელია. ბიჭები კარგ ფორმაში არიან, განსაკუთრებით აფრიკელი ლეგიონერები. მოსკოვის ტურნირზე მათი იმედიც გვაქვს.

**— „ოლიმპიდან“ ნათხოვარ ფეხბურთელებზე რას იტყვით?**

— უკვე მეორე ტესტ-მატჩი ჩავატარეთ და პროგრესი აშკარაა. ხარვეზები კი არის, მაგრამ ორ-სამ დღეში ყველაფერი დალაგდება. მოსკოვში კარგი შედეგი უნდა ვაჩვენოთ.

**— და კარგ შედეგად რას თვლით?**

— ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაგვიჭირდეს. მაქსიმუმი კი ჩემპიონობაა. გვინდა, კიდევ ერთხელ გავახაროთ ქართველი გულშემატკივარი. თან ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ქართული ფეხბურთის სილამაზე და ტემპერამენტი უნდა გავახსენოთ.

**— ეროვნულ ჩემპიონატში რას ფიქრობთ?**

— პირველ წრეში დაკარგული ქულების გამო საუკეთესო შედეგი ალბათ სამეულში მოხვედრა იქნება. ძირითად აქცენტს კი თასზე გადავიტანთ, რათა უეფას თასზე თამაში შევძლოთ. ამის წინაპირობა გვაქვს, გამგეობა და სპონსორები — სახალხო ბანკი და „მადნეული“ — ყველანაირად გვეხმარებიან.

**— ამასობაში რამდენიმე ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდათ...**

— ყველას არა, მაგრამ უმრავლესობას კონტრაქტებს გავუგრძელებთ.

**— ახლების დამატებაზე ხომ არ ფიქრობთ?**

— აუცილებლად. არც ის არის გამორიცხული, „თანამეგობრობის თასისთვის“ დამატებული ფეხბურთელებიდან ზოგიერთი დავიტოვოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დინამომ ანთალიაში მილოშ კრშკო მიიღო

## დღეს დუშან უჰრინი ნაომრებს შეხვდება

**ანთალიაში** მოსამზადებლად მყოფ თბილისის „დინამოს" გუშინ ახალი ფეხბურთელი შეემატა — 27 წლის სლოვაკი მცველი მილოშ კრშკო. ის სლოვაკეთის ჩემპიონატის ლიდერ „ჟილინას" საკუთრებაა, თუმცა ამ სეზონში „ტრენჩინში" იყო განათხოვრებული და პირველი წრე სწორედ იქ ჩაამთავრა. კრშკო „დინამოში" გასინჯვაზეა და თუ მწვრთნელ დუშან უჰრინს თავი მოაწონა, კლუბსა და ფეხბურთელს შორის კონტრაქტზე მოლაპარაკება ამის შემდეგ დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ „დინამოში" ერთი უცხოელიც ვარჯიშობს — 35 წლის ავსტრალიელი ნედ ზელიჩი. თუმც ეს ფეხბურთელი გუნდს უკვე გაშინაურებულია, მოსამზადებელი ეტაპი მან თბილისშივე დაიწყო და „დინამოსთან" ერთად ოთხი დღე ბაკურიანშიც იყო.

ანთალიაში კი თბილისელები გუშინწინ ტრაპიზონიდან ჩაფრინდნენ და სედე ჩოლაკლის ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „სელინში" დაბინავდნენ. „დინამოს" პრესსამსახურის უფროსის გიგა გვენცაძის თქმით, გუნდი სასტუმროს გვერდით მდებარე მოედანზე ვარჯიშობს და მოსამზადებლად იდეალური პირობები აქვს. დუშან უჰრინი შეგირდებს დღეში ხან ორჯერ, ხანაც სამჯერ ავარჯიშებს. ფეხბურთელებს დიდი დატვირთვები აქვთ.

მცირე ტრავმები აწუხებთ მიხეილ კაკალაძესა და მათე ვაწაძეს, მათ გუშინ არ უვარჯიშიათ.



პირველ ამხანაგურ მატჩს „დინამო" ანთალიაში, დღეს გროზნოს „ტერეკთან" გამართავს, მომდევნო ორს კი უკრაინის უმაღლესლიგელებთან — ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" და „ხარკოვთან". სხვათა შორის, ორი დღის წინ „ტერეკმა" და „ხარკოვმა" ერთმანეთში 1:1 ითამაშეს.

**ქოჲბა ინასარიძე**

# ახალგაზრდული ქალაქი: ბათუმი

## ვახტანგ კვარაცხელია ოლიმპიდან ზღვაზე

ამირან მუჯირისა და ალეკო კოშკაძის დარად, „ბათუმიდან" რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა, მათ შემცვლელებად კი ზღვისპირელებს ახალგაზრდები ჰყავთ შეგულებული.



ამირან გოგიტიძე

როგორც შევიტყვეთ, ამირან გოგიტიძის გუნდში არიან ფოთის „კოლხეთის" ყოფილი მეკარე ლევან ლატარია, აგარის „მეშაქრედან" გადასულები, კობა შალამბერიძე და კახა ებრალიძე, ასევე თბილისის „დინამოს" კუთვნილება უჩა ლობჟანიძე — მან პირველი წრეც ზღვისპირულ კლუბში გაატარა განათხოვრებით და, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდეც იქ დარჩება.

„ბათუმში" ითამაშებს 18 წლის ფორვარდი ვახტანგ კვარაცხელიაც, ვინაც პირველ წრეში რუსთავის „ოლიმპში" უმეტესად შეცვლებზე შედიოდა ხოლმე და სამი გოლის გატანაც მოასწრო.

ზღვისპირელები აღელში ორჯერად ვარჯიშებს ატარებენ. 16 იანვრიდან კი ტესტ-მატჩებსაც ითამაშებენ. მანამდე კი გუნდში ორი თვის ხელფას-პრემიებს ელიან — ეს საკითხი ორშაბათს მოგვარდება.

**ილია ნანობაშვილი**

# ამერი ეფეს პილზენის თასზე

**თბილისის** „ამერის" თურქული შეკრება სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ჩამოსვლის დღიდან ფეხბურთელები მხოლოდ ვარჯიშით იყვნენ დაკავებულნი, გუშინ კი „ეფეს პილზენის" თასის ფინალს, „ფეიენოორდ" — „ვერდერის" მატჩს დავესწარით. შეხვედრა კუნდუს საფეხბურთო ცენტრში ჩატარდა, სადაც ორი წლის წინ „ამერმა" ამხანაგურ მატჩში ყაზახურ „ქეტისუს" გიორგი დეკანოსიძის და რატი წინამძღვრიშვილის გოლებით 2:0 მოუგო.

დღეიდან კი დატვირთვა მე, „ამერის" პრესსამსახურის უფროსს და კლუბის მენეჯერ ვახტანგ ბზიკაძეს გაგვეზრდება. ჩვენ მეზობლად, სასტუმრო „მარიოტში" ევროპა-აზიის ფუტბოლ-ექსპრო იხსნება, რომელში მონაწილეობის მისაღებად აკრედიტაციები უკვე ავიღეთ. ფუტბოლ-ექსპრო სამი დღე გაგრძელდება.

მთავარი კი ის არის, რომ „ამერმა" პირველი ამხანაგური მატჩი დაგეგმა — 13 იანვარს თურქეთის მეორე ლიგის „ოფსფორს" გაეჯიბრება. ეს შედარებით სუსტი გუნდია და გიორგი ჩიხრაძის სურვილიც ეს იყო, რომ პირველი შეკრებისას „ამერს" ამხანაგური მატჩები სუსტ გუნდებთან ჩაეტარებინა.

„ოფსფორზე" ისიც შეიძლება ითქვას, რომ მისი მწვრთნელი ინგლისურ „ბლექბერნში" ზურაბ ხიზანიშვილის თანაგუნდელ თუგაის ძმა გახლავთ.

თამაში იმ სტადიონზე ჩატარდება, სადაც შარშან „ამერმა" ავსტრიულ „შტურმს" 4:1 მოუგო.

და ერთი სახალისო ამბავიც, რომელსაც ამ სტადიონზე გუშინ შევესწარით. „ფენერბაჰჩე" ამხანაგურ მატჩში თურქეთის მეორე ლიგის გუნდს ხვდებოდა. ტრიბუნაზე ხალხის ტევა არ იყო. თავად სტადიონი წმინდა საფეხბურთოა, ტრიბუნა მჭიდროდაა მოედანთან და დამცავი ბადეც არ არის. ჰოდა, ბუნებრივია, აუტზე გადასული ბურთი ხშირად მაყურებლის ხელში აღმოჩნდებოდა ხოლმე. აუტის ჩასაწოდებლად მისულ „ფენერბაჰჩეს" ფეხბურთელებს კი ბურთს იქამდე არ უბრუნებდნენ, სანამ გულშემატკივრები მობილური ტელეფონებით სურათებს არ გადაუღებდნენ.

**გიორგი დარჯანია ბელეკიდან**

# შენგელია, დარტყმა, არის!





**რამაზ შენგელია** — კაცი, რომელიც თბილისის „დინამოს" „ოქროს თაობაში" ყველაზე ხშირად ბომბავდა მეტოქეთა კარს. ნამდვილი ფორვარდი, ზოგჯერ ისეთ ადგილას გაყოფდა ფეხს, ისეთ ადგილას შეუშვერდა თავს, ყველანი ყბადაღებულნი რჩებოდნენ.

შენგელიამ რომ მარტო ცარიელ კარში ბურთის შეგორება არ იცოდა, ამას დიუსელდორფის დაუვიწყარი ფინალის 67-ე წუთიც „დაგიდასტურებთ", როცა „კარლ ცაისის" დაცვა სლალომით გაირბინა და ვლადიმერ გუცაევს დასარტყმელად დაუგორა.

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" რამაზ შენგელიას 50 წლის იუბილე აღინიშნა.

„ოქროს დინამო", რამაზ შენგელიას ოჯახი, ნათესავ-მეგობრები (მათ შორის, რუსეთიდან ჩამოსულებიც), ჟურნალისტები... კაფეში მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმ ხალხისა, ვისაც რამაზ შენგელია უყვარდა და უყვარს...



რამაზ შენგელია მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად

ქუთაისიდან თბილისში ერთი წლის ჩამოსულმა კაცმა 1978 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ხომ მოიგო, საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და ზედ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც მიაყოლა. შენგელია ერთადერთია ქართველი მოთამაშეებიდან, საბჭოეთში საუკეთესოობას ორჯერ რომ შეწვდომია, ხოლო 1981 წელს „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთის" გამოკითხვაში მეშვიდე ადგილზე გავიდა, რაც ასევე რეკორდულია ქართველებისთვის.

„დინამოს" 11 ნომერს მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელთა შორის ასახელებდნენ და ეს ხდებოდა რუმენიგეს, კემპესის, როსის თუ რომელი ერთის დროს, ვარსკვლავურ ეპოქაში.

რამაზ შენგელიაც ვარსკვლავი იყო...

**ილია ნანობაშვილი**



დინამოელები

# ყოფილი გალაქტიკო გალაქსისკენ გაიქცევა



**ბრიტანული** „სანი“ აცხადებს, რომ თუ ფაბიო კაპელო დევიდ ბექემს უახლოესი მატჩების დროსაც დამალობანას ეთამაშა და ინგლისელი კვლავაც სათადარიგოებში ჩატოვა, დევიდი „რეალს“ დატოვებს და საბურთაოდ „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ გადაბარგდებაო.

ფეხბურთელთან დაახლოებულ პირს „სანთან“ უთქვამს: „ამერიკის შეერთებულ შტატებში ბექემის მთავარი მიზანი ის იქნება, რომ ფეხბურთით რაც შეიძლება, მეტი ჩრდილოამერიკელი დააინტერესოს“.

პატივცემულმა ბექემის მეგობარმა ისიც აღნიშნა, რომ ბეისბოლით, გოლფით, ამერიკული ბურთაობით და სხვა ათასი უცნაურობით გატაცებული იანკების ფეხბურთით მოხიბვლა აშშ-ში ადრე მოთამაშე ვერც ერთმა დიადმა ვერ მოახერხა, ამიტომაც ალბიონელი ამერიკელთა მოჯადოვებას პირად გამოწვევად მიიღებს: „გაიხსენეთ პელე, ან თუნდაც ჯორჯ ბესტი. მათ ვერ შეძლეს ამერიკელებისთვის ფეხბურთის შეყვარება. თუ „ბექჰი“ აშშ-ში წავიდა, ამ საქმეს ძალიან დიდი ყურადღებით მოჰკიდებს ხელს“.

„სანი“ კი გვამცნობს: „თუ ფაბიო კაპელომ ბექემს ძირითადში ხშირად ყოფნის გარანტია არ მისცა, ის მადრიდს დატოვებს. მისი მიზანი ამერიკაში თამაშია, ის აშშ-ში გადაბარგების მომხრე იქნება, ევროპულმა კლუბებმა ფანტასტიკური თანხებიც რომ შეაძლიონ“.

ამერიკა შეჰყვარებია ბექემის მეუღლეს ვიქტორიასაც. ვიკა მზიური კალიფორნიისკენ მიილტვის და იქ სახლიც შეარჩია, სადაც მომავალში ოჯახთან ერთად იცხოვრებს.

ბექემიანთ სურვილი ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსანთა მოსწრაფებებს სრულიად ემთხვევა. იანკებს სიმბოლო სჭირდებათ, რომ მათ ქვეყანაში ეს სპორტი განვითარდეს.

„ლოს ანჯელეს გალაქსი“ „ბექემს“ წლიურად 2,25 მილიონ ევროს სთავაზობს, რაც ფეხბურთელის მადრიდულ ხელფასზე გაცილებით ნაკლებია — დევიდი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 7,4 მილიონ ევროს იღებს, თუმცა ამერიკელები ირწმუნებიან, რომ სხვადასხვა ფინანსური ოპერაციებით ინგლისელს ხელფასის გარდა დამატებით 30 მილიონი ევრო მოგება ექნება.

„სანთან“ ვიქტორია ბექემის მეგობარმაც ისაუბრა. ექსსპაის გოგოს თურმე ამერიკული ქალაქებიდან ნიუ იორკი და ლოს ანჯელესი მოსწონს. „მისი ჯინსის პროდუქცია შეერთებულ შტატებში კარგად გაიყიდა და ვიქტორიაც ამერიკულ მოდის ინდუსტრიაზე დიდ შეტევას გეგმავს. მან გასულ წელს ნიუ იორკში გამართულ ერთ-ერთ ზეიმზე ჯენიფერ ლოპესი გაიცნო და მათ ერთმანეთს პირველივე წუთებიდან შესანიშნავად გაუგეს. დევიდი კი ჯენიფერის მეუღლე მარკ ენტონისთან დაახლოვდა. გარდა ამისა, ტომ კრუზი ბექემის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია. ვიქტორიას მოსწონს ლოს ანჯელესი და თვლის, რომ ეს საუკეთესო გარემოა შვილების აღსაზრდელად“ — თქვა ვიქტორია ბექემის მეგობარმა.

**ლადო ხომერიკი**

# ბრიგელს არასწორად გაუგეს



**ჰანს პეტერ ბრიგელმა** არაბულ „ელ ილტიჰადთან“ ინტერვიუში ნათქვამი იუარა, რის გარიგება, რა ჩაწყობილი თამაში, მაშინ ავსტრიასთან არავითარი პაქტი არ გაგვიფორმებია და ალჟირის ნაკრებიც არ დაგვიჩაგრავსო. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების გფრ-ს ნაკრების ბრგე მცველმა რამდენიმე დღის წინ ხსენებულ არაბულ გაზეთთან მასლაათში თქვა, რომ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში მისი გუნდი ავსტრიის ნაკრებს მატჩის გერმანელთა მოგებით დამთავრებაზე შეუთანხმდა (ალემანთა 1:0 გამარჯვება ხელს ბრიგელისიანებსაც უწყობდა და ავსტრიელებსაც, ჯგუფიდან ორივენი გადიოდნენ). მატჩი მართლაც 1:0 დასრულდა, შემდგომ ეტაპზე გერმანია — ავსტრია გავიდნენ, ხოლო ალჟირი და ჩილე ჩემპიონატს მიღმა დარჩნენ.

25 წლის წინ ყველაზე ჩრდილოაფრიკელები დამწუხრდნენ. მათი ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი ჰქონდათ, იმ წელს ბრწყინვალედაც თამაშობდნენ, მაგრამ ხიხონის „ელ მოლინონზე“ გამართულმა „ამხანაგურმა მატჩმა“ რაბაჰ მაჯერის და მისი მეგობრების ოცნებები წყალს გაატანა.

სწორედ სახელგანთქმული მაჯერი იყო ის კაცი, ბრიგელის სენსაციური აღიარების შემდეგ მადრიდული „ასის“ ჟურნალისტებს სევდანარევი ირონიით რომ უთხრა, სიცილის მეტი რა დამრჩენია, ფიფა მეოთხედი საუკუნის წინანდელ მატჩს ხომ არ გადაათამაშებსო. მერე დასძინა: „ხიხონის გარიგების შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა, ბრიგელმა კი ის ამბავი ოფიციალურად დაადასტურა. იმ დღეს სტადიონზე ვიყავი და მალე სამარცხვინო გარიგების მომსწრე ვარ“.

ჰერ ბრიგელმა კი „ბერლინეს ტაგეშპიგელთან“ ინტერვიუში არაბებთან ადრე ნათქვამი უარყო. „არასწორად გამიგეს. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ, როცა ანგარიში 1:0 გახდა, ჩვენც და ავსტრიელებმაც თამაშის ტემპი დავაგდეთ, წინასწარი შეთანხმება კი არ ყოფილა, მხოლოდ გატანილი გოლის შემდეგ მოხდა ეს ყველაფერი...“ — აღნიშნა ბაჰრეინის ნაკრების მწვრთნელმა ბრიგელმა.

**ლადო ხომერიკი**

# ოგბუკე უიგანელი



**ინგლისური** „უიგანი“ ახალგაზრდა და ნიჭიერი ნიგერიელი თავდამსხმელით ჩინედუ ოგბუკეთი გაძლიერდა, რომელსაც ნორვეგიაში ედუთი იცნობენ. 20 წლის ფეხბურთელი ოსლოს „ლინის“ საკუთრებაა, იგი „უიგანში“ იჯარის წესით გადავიდა და თუ თავს გამოიჩენს, მას ბოლომდე გამოისყიდიან. ბრიტანული პრესის ცნობით, ეს უკვე გადაწყვეტილი ყოფილა, ედუს ფასი კი 3 მილიონი გირვანქაა.

„აქამდე „უიგანის“ შესახებ არაფერი ვიცოდით, მაგრამ ედუმ და მისმა აგენტმა ჯონ შიტუმ ინგლისურ კლუბთან შეთანხმებას მიაღწიეს და ვადასტურებ, რომ იგი რამდენიმე კვირით ინგლისში მიემგზავრება, დანარჩენს მომავალი გვაჩვენებს. ხაზს ვუსვამ, რომ ედუ არ გაგვიყიდია, იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია და თუ შევეცდებით, სათანადო ფასად. ამჟამად მეტს ვერაფერს გეტყვით“ — თქვა „ლინის“ სპორტულმა დირექტორმა ტორგიერ ბიარმანმა.

საინტერესოა, რომ ნიგერიელით „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“, „ლივერპული“, „არსენალი“, „ბარსელონა“ და სხვა რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული. ცოტა ხნის წინ, იგი მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადასვლას აპირებდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

**კოკი კანდელაკი**

# ტურინიდან რიომდე

**იტალიური** პრესა გვამცნობს, რომ ტურინის „იუვენტუსი“ რიო მავუბას შეძენასთან ახლოს არის. „ბებერმა ქალბატონმა“ უკვე ჩაიგდო ხელში „აიაქსის“ ჩეხი მცველი ზდენეკ გრიგერა, რომელიც გუნდს მომავალ ზაფხულს შეუერთდება, მაგრამ „იუვე“ ამაზე შეჩერებას არ აპირებს და მომავალი სეზონისთვის გვარიანად გაძლიერებას გეგმავს.

წარმოშობით ანგოლელი მავუბა კი 22 წლისაა, მაგრამ უკვე საფრანგეთის ნაკრებში მკვიდრდება და „ბორდოს“ ერთ-ერთი ლიდერია. მას ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველადაც მოიაზრებენ. „იუვენტუსის“ ფრანგი მწვრთნელ დიდიე დეშანს მისდამი დიდი სიმპათიები აქვს, ისევე, როგორც ლეგენდარულ მიშელ პლატინის, სხვები რომ აღარც ვახსენოთ.

მავუბას სხვა მსურველებიც ჰყავს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამადობით. მისი სავარაუდო ფასი კი 8-10 მილიონი ევროა. ნახევარმცველს „ბორდოსთან“ კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს.

„რიოს თვალი რამდენიმე იტალიურმა და ინგლისურმა კლუბმა დაადგა. „მანჩესტერსა“ და „იუვენტუსს“ გამოვარჩევდი, თუმცა ჯერ ბევრი დეტალია გასარკვევი და შესათანხმებელი. ფაქტია, მავუბა პერსპექტიული და ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. თუმცა იანვარში მისი ტრანსფერი ნაკლებ სავარაუდოა. „ბორდო“ ამბიციური კლუბია, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება სურს და ალბათ რიოს სეზონის ბოლომდე ვერ შეელევა, მაგრამ თუ რომელიმე გრანდისგან განსაკუთრებული წინადადება იქნება, შეიძლება, ყველაფერი მოხდეს“ — თქვა მავუბას აგენტმა ვინჩენცო მორაბიტომ.

**გიორგი კაკაბაძე**

# ინძაგი ნაძვის ხიდან ჩამოვარდა

**ვეტერანი** იტალიელი ფორვარდი ფილიპო ინძაგი კლუბის გამოცვლაზე ფიქრობს. 33 წლის თავდამსხმელი „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში ფაქტობრივად ვერ ხვდება და შეცვლებზეც იშვიათად ათამაშებენ. „სუპერპიპო“ ამით უკმაყოფილოა და სხვა გუნდში გადასვლას არ გამორიცხავს.

აპენინური პრესა იუწყება, კარლო ანჩელოტი ისევ „ნაძვის ხის სისტემას“ დაუბრუნდებაო, რაც იმას ნიშნავს, რომ „მილანი“ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშებს, რომელიც, სავარაუდოდ, ნელნელა ფორმაში შესული ალბერტო ჯილარდინო იქნება. მას ორი შემტევი ნახევარმცველი დაეხმარება. მეორე ნომერი თავდამსხმელი „როსონერიში“ რიკარდო ოლივეირაა და შესაბამისად, ინძაგის შანსები ისევ მიზერული იქნება.

„ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ კარიერას „მილანში“ დავასრულებ, ამას ყოველთვის ვამბობდი და ჩემი სურვილი უცვლელია. თუმცა ყველა კლუბში მუდამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ვიყავი. სტატისტის როლში ყოფნა არ მინდა და თუ ვიგრძნობ, რომ საჭირო ვარ, რა თქმა უნდა, დავრჩები. თუ თამაშის საშუალება არ მომეცემა, ხელმძღვანელობასთან ჩემს მომავალზე საუბარი მომიწევს“ — აღნიშნა ინძაგიმ.



**გიორგი კაკაბაძე**

# ვინც არ დაიჩოქებს, ჩემთან!

## კაპელომ რეალში ფესვები გაიდგა

**ამბობენ, რომ ფაბიო კაპელო უახლოეს მომავალში ვისენტე დელ ბოსკემ ან ჟოზე მაურინიუმ უნდა შეცვალოს — ესპანური მედიის ცნობით, მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი კალდერონი სამეფო გუნდის გადარჩენას კაპელოს მაგივრად ხსენებულ სპეციალისტთაგან რომელიმეს მოყვანით აპირებს (ლაპარაკია მარჩელო ლიპის „გაესპანელებაზეც“). თუმცა დონ ფაბიომ „ასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ „რეალიდან“ ფეხსაც არ მოიცვლის**



**— სამშაბათს პრეზიდენტ კალდერონთან შეხვედრის შემდეგ ალბათ სათანადო დასკვნებსაც გააკეთებდით. შეგიძლიათ, გვითხრათ, რა სჭირს თანამედროვე მადრიდის „რეალს“?**

— ვფიქრობ, რომ თავიდან ყველაფერი კარგად გავაკეთეთ, მაგრამ ბოლო ორ თამაშში ის მისწრაფება და საბოლოო ჟინი დავკარგეთ, რომლის ნაკლებობა აქამდე ნამდვილად არ გვაწუხებდა. ესაა, რამაც ყველაზე მეტად დაგვაზარალა. როცა მადრიდში პირველად მოვედი, ვთქვი, რომ „რეალის“ მაისურის ღირსების ალსადგენად უნდა გვებრძოლა, რათა ხალხს ისევ ძველებური „რეალი“ ენახა. მე კი ბოლო ორ მატჩში სრულიად საწინააღმდეგო რამ ვიხილე. კრებაზე ბევრ რამეზე ვიმსჯელეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ. ერთერთი დახურულ ვარჯიშებს შეეხება, ამიერიდან ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების გარეშე ვივარჯიშებთ, რათა ბიჭებმა მთელი ყურადღება საქმეზე გადაიტანონ. მდგომარეობა კი არც ისე კატასტროფულია, პრიმერას სხვა ლიდერებს ქულათა დიდი რაოდენობით არ ჩამოვრჩებით.

**— შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით სამწვრთნელო შტაბი თუ იღებს თავის თავზე რაიმე პასუხისმგებლობას?**

— როგორც ყოველთვის, ახლაც ვიტყვი, რომ გამარჯვებაც, მარცხიც და გუნდის ახლანდელი ჩავარდნაც ყველას ბრალია. ძველი უნდა დავივიწყოთ, ფეხბურთელებმაც და მწვრთნელებმაც საქმის გამოსწორებაზე უნდა ვიფიქროთ.

**— არ გგონიათ, რომ ამჟამინდელი შემადგენლობით გუნდმა ძალიან ცოტა ხეირი ნახა?**

— ჩემს სამუშაოს ხეირის მოსატანად მოთმინება და დრო სჭირდება. იყო მატჩები, სადაც „რეალმა“ უცხო არენებზე შესანიშნავად ითამაშა, თუმცა არსებობენ ფეხბურთელებიც, რომლებსაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უფრო უჭირთ, ვიდრე უცხო სტადიონებზე. ზოგიერთს პრობლემები აქვს ამასთან დაკავშირებით, „ბერნაბეუსა“ და „რეალის“ მაისურის სიდიადე აბნევს...

**— როდისთვის გადაწყვიტეთ გუნდიდან არასასურველი ფეხბურთელების გაშვება — იანვრის სატრანსფერო ბაზარზე თუ სეზონის ბოლოსთვის?**

— ჩვენ „რეალში“ მებრძოლი ფეხბურთელების დატოვება გვინდა, ბიჭებისა, რომელთა დაჩოქებაც ძალიან ძნელია. ასევე, რა თქმა უნდა, ამ მოთამაშეებს „რეალის“ შესაფერისი საფეხბურთო დონეც უნდა ჰქონდეთ და ხასიათის სიმტკიცეც.

**— არსებობს რაიმე საჩოთირო პრობლემა, რომელიც რონალდოს უკავშირდება და გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ?**

— ცალკეული სახელების მაგალითად მოყვანა არ მიყვარს. ამ გუნდში ყველა ერთად ვიგებთ და ვაგებთ, პასუხისმგებელი კი მე ვარ.

**— სეზონის შუაგულში დამსჯელი აქციების ჩატარება და გუნდიდან ფეხბურთელების დათხოვნა გადაჭარბებულად ხომ არ გეჩვენებათ?**

— უკვე აღვნიშნე, რომ ყველაზე მთავარი ფეხბურთელისთვის ხასიათის სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობაა — ბიჭებმა ის გერბი უნდა დაიცვან, რასაც გულზე ატარებენ. შემდეგ მომავალი აჩვენებს, რასაც მოვიგებთ.

**— მართლა თვლით, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი „რეალის“ ვარჯიშებზე ღამეული თავგადასავლებისგან გასავათებული ცხადდება?**

— ეს გუნდის შიდა, დელიკატური საქმეა, რომლის სააშკარაოზე გამოტანას ახლა არ ვაპირებ.

**— პირდაპირ გეტყვით, დახურულ კარს მიღმა ვარჯიში პრობლემების გადაჭრის იდეალური მეთოდი არ ჩანს...**

— ჩვეულებრივ, როცა გუნდს სირთულეები აწუხებს, ყველა ერთ მუშტად უნდა შეიკრას, რათა ეს პრობლემები მოისპოს. ხოლო დახურულ კარს მიღმა ვარჯიში ხელს შეუწყობს ფეხბურთელთა ერთიანობას და საქმეც მეტი ყურადღებით მოეკიდებიან.

**— ფიქრობთ, რომ ასეთი მეთოდები გამარჯვების გარანტიას მოგცემენ?**

— გამარჯვების გარანტიას ამ ქვეყნად არაფერი იძლევა.

**— როდემდე აპირებთ დახურულ კარს მიღმა ვარჯიშს?**

— ხანდახან მდგომარეობის გამოსწორებას ასეთი მეთოდებიც სჭირდება. ვნახოთ, კონკრეტულ თარიღს ჯერ ვერ გეტყვით.

**— თანამდებობის დატოვებაზე თუ გიფიქრიათ?**

— ჩემს გადადგომას აბსოლუტურად გამოვრიცხავ.

**— ფეხბურთელებთან ძალიან ცოტას ხომ არ საუბრობთ?**

— სიტუაციას გააჩნია. ისე, ყოველთვის ვესაუბრები ბიჭებს და საჭირო რჩევა-დარიგებებს ვაძლევ. გასულ კვირას რობინიოს სამჯერ ველაპარაკე. თუ სიტუაცია მოითხოვს, მოთამაშესთან მწვავე საუბარსაც არ მოვერიდები. ხანდახან ზოგიერთ ფეხბურთელს ოც-ოცი წუთიც ვესაუბრები.

**— როგორ გრძნობთ თავს მაშინ, როცა თქვენს შემცვლელს ეძებენ?**

— მე თავს „რეალის“ მწვრთნელად ვგრძნობ.

**— ამ შემადგენლობამ იმედი გაგიცრუათ?**

— მე იმ ხალხთან ვმუშაობ, ვინც ჩამაბარეს. მჯობნის მჯობნი არ დაილევა და „რეალიც“ ხან წააგებს და ხან მოიგებს. ისე, ჩემი სამწვრთნელო პრინციპია, რა შემადგენლობასაც ჩამაბარებენ, ისინი საუკეთესოებად მივიჩნიო და მათთან სერიოზულად ვიმუშაო.

**— „დეპორტივოსთან“ წაგების შემდეგაც გრძნობთ პრეზიდენტ კალდერონისა და სპორტული დირექტორის მიატოვიჩის მხარდაჭერას?**

— მათ უკვე ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ კვლავ მენდობიან.

**— მოსალოდნელია, კლუბი რომელიმე მოთამაშემ იანვარშივე დატოვოს?**

— ეს ჯერ არ გადაგვიწყვეტია. ამიტომაც ვერაფერს გეტყვით.

**— ვისაც ყველაზე მეტად ედება ბრალი „რეალის“ კრიზისში, ისინი მოედანზე სხვებზე გაცილებით იშვიათად გამოდიან...**

— „რეალის“ კრიზისში ბრალი ყველას მიგვიძღვის.

**— შემადგენლობა მხარს ისევ გიჭერთ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ფეხბურთელებით მედიასთან უკმაყოფილება გამოთქვით?**

— შემადგენლობის უდიდესი ნაწილი ჩემს მხარესაა.

**— სამობაო არდადეგებიდან დაბრუნებულ რონალდოს რაიმე უარყოფითი ცვლილება შეატყვეთ?**

— რონალდო ძველებურად ანუ რეგულარულად ვარჯიშობს.

**— ამ დამარცხების შემდეგ თქვენი სულიერი მდგომარეობა როგორია?**

— ყოველთვის ვცდილობ დადებითზე ვიფიქრო. ბოლო ორი შეხვედრით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ თუ ცხრილს შევხედავთ, საგანგაშო არაფერია — ბედმა გაგვიღიმა და დანარჩენმა ლიდერებმა ჩვენი წაბორძიკება ვერ გამოიყენეს.

**— თუ ორი-სამი მატჩი კიდევ წააგეთ, შეიძლება, კალდერონმა თანამდებობიდან გაგათავისუფლოთ — პრეზიდენტის მოთმინებასაც საზღვარი აქვს...**

— ეგ თავად კალდერონის გადასაწყვეტია. პრეზიდენტია და მთავარი სიტყვა ეთქმის.

**— ხომ არ გეშინიათ, რომ თქვენს მიერ შერისხული ფეხბურთელები მუშაობაში ხელს შეგიშლიან?**

— ამაზე ცოტა ხნის შემდეგ გიპასუხებთ.

**— ბოლო დღეებში რომელიმე ფეხბურთელს ჯვარი საბოლოოდ დაუსვით?**

— არა. ჯვრის დასმას და ხალხის ჩამოწერას არ ვაპირებ.

**— მადრიდში ბედნიერი ხართ, თუ მუშაობას ყოველთვის გაბრაზებული სახით აპირებთ? იქნებ ასე მოქმედება მოგწონთ...**

— კარგი შეკითხვაა. ერთადერთი, რაც ცასავით ნათელია, ის არის, რომ მუშაობის სურვილი არ დამიკარგავს. ბედნიერი არ ვარ, რადგან ჩემს საქმეში მთავარი მოგებაა. არაფერი გვიჭირს, და გახარებული ვარ-მეთქი რომ ვთქვა, არავინ დამიჯერებს. ოღონდ, ბრძოლისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ, ძალიან მიყვარს ჩემი საქმე.



რობინიოს კაპელო კვირაში სამჯერ ჰკუას არიგებს

# შერეკილის მსგავსი



**იტალიური** „რომას" ახალწვეულს კრისტიან ვილჰელმსონს ზლატან იბრაჰიმოვიჩსა და მარტინ იორგენსენს ადარებენ. მოგეხსენებათ, 27 წლის შვედი შემტევი ნახევარმცველი „გლადიატორებში" ახლახანს ჩაირიცხა იჯარის წესით. „ნანტის" ფეხბურთელს წინადადება „მიდლსბროსგანაც" ჰქონდა, მაგრამ „სტადიო ოლიმპიაკოზე" გადაბარგება არჩია.

შვედის აგენტი მინო რიოლა: „იგი მარტინ იორგენსენს უფრო ჰგავს, ვიდრე ზლატან იბრაჰიმოვიჩს და ეს შედარება უსაფუძვლო სულაც არ არის. ვილჰელმსონისა და იორგენსენის სათამაშო სტილი იდენტურია, მაგრამ კრისტიანი შეტევაში გაცილებით სწრაფია და როცა მეტოქესთან პირისპირ რჩება, უბრალოდ შეუჩერებელია. იგი გოლეადორი არ არის, მაგრამ თანაგუნდელებს უამრავ მომენტს უქმნის. თანაც თუ ლუჩანო სპალეტის ტაქტიკას გავითვალისწინებთ, მჯერა, ისიც სისტემატურად გატანას დაიწყებს".

ვილჰელმსონი ძირითადად ფლანგზე თამაშობს, მაგრამ გარჯა შუაშიც შეუძლია და ერთი გამოკვეთილი ფორვარდის უკანაც. იგი იბრაჰიმოვიჩის ახლო მეგობარია, ვის გვერდითაც შვედეთის ნაკრებში არაერთხელ უთამაშია.

„კრისტიანი იბრაჰიმოვიჩთან ძალიან ახლოსაა, მაგრამ იგი „ინტერის" ფორვარდივით შერეკილი არ არის. მას ემოციების მოთოკვა შეუძლია და გაწონასწორებულია" — განაცხადა რიოლამ.

**გიორგი ძაძამიძე**

# სპალეტის დედიჩისა არ მსიამოვნა

**ლუჩანო სპალეტის** „რომამ" იტალიის თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში „სტადიო ოლიმპიკოზე" კი მოუგო ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „პარმას", მაგრამ დედაქალაქელთა მწვრთნელს „ენიო ტარდინის" ბინადრებისგან ბოლო წუთებზე გაშვებული ერთი საპასუხო გოლი ძალიან არ ესიამოვნა.

„გლადიატორები" მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას. ისინი ამანტინო მანჩინის გოლით მალევე დაწინაურდნენ და ფრანჩესკო ტოტიმ 67-ე წუთზე სხვაობა გაზარდა. თუმცა 87-ეზე ზლატკო დედიჩმა ერთი ბურთი გაქვითა, რაც იმას ნიშნავს, რომ 17 იანვარს „რომას" პარმაში მძიმე ბრძოლა ელის.

„ბოლო წუთებზე გაშვებული გოლი ყველაფერს ცვლის, ახლა რთული საპასუხო მატჩი გველის. უკვე ტრადიციასავით იქცა, ბევრ საგოლე მომენტს ვქმნით, მაგრამ ვერ ვიყენებთ. ასე იყო ამ მატჩშიც და ბოლოს მეტოქემ აქეთ გაგვიტანა. მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ანგარიშით კმაყოფილი არ ვარ" — თქვა სპალეტიმ.



„პარმას" მწვრთნელი სტეფანო პიოლი: „ბოლო წუთებამდე ვიბრძოლეთ და დედიჩის გოლმა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაგვიტოვა. მჯერა, საპასუხო შეხვედრაში რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ. თუმცა ახლა მთლიანად სერია **A**-ზე და ჩვენს მომავალ მატჩზე ვართ კონცენტრირებული, მთავარი ახლა ეს არის".

**გიორგი ძაძამიძე**

# რივა აზრზეა
## ტოტის მეხი დაეცა



ლუიჯი რივა

**იტალიური** ფეხბურთის ლეგენდამ ლუიჯი რივამ, რომელიც დღეს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე კომისიონერად მუშაობს იმედი გამოთქვა, რომ „რომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი „სკუადრა აძურაში" თამაშს თავს არ დაანებებს. შეგახსენებთ, რომ ტოტის ნაკრებში ზაფხულის, უფრო ზუსტად კი მსოფლიოს ჩემპიონატის მერე არ უთამაშია და რამდენჯერმე ისიც კი განაცხადა, საერთაშორისო დონეზე დაბრუნებას აღარ ვაპირებო.

„მე კი ისევ იმ აზრზე ვარ, რომ ტოტი ნაკრებიდან არ წავა — განაცხადა რივამ „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში — არა მგონია, რომ საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ნათამაშები მუნდიალის ფინალი მისთვის ბოლო სანაკრებო შეხვედრა გამოდგეს. ის დაბრუნდება. მართალია, ბოლო დროს მასთან არ მისაუბრია, მაგრამ თუ გახსოვთ, იგი ადრე უკვე მოიქცა ასე. მეტი სათქმელი არაფერია. მეტიც, ტოტი რომც არ დაბრუნდეს, ენა არ მომიბრუნდება იმის სათქმელად, რომ მას იტალიის ნაკრებში თამაში არ სიამოვნებს. პაოლო მალდინის ამბავსაც შეგახსენებთ. მან თქვა, რომ ამ სეზონის ბოლოს ფეხბურთის თამაშს თავს დაანებებს, მაგრამ ახლა უკვე ორჭოფობს".

ამის შემდეგ, „კილიარის" ლეგენდამ, კაცმა, რომელსაც მეტსახელად „რომბო დი ტუონოს" ანუ „მეხის დაცემას" უწოდებდნენ, განაცხადა, რომ ტოტისა და ნაკრების მწვრთნელს რობერტო დონადონის შორის ცუდი ურთიერთობა სულაც არ არის.

„მათ ილაპარაკეს და ყველა დეტალი განიხილეს. დარწმუნებული ვარ, რომ ტოტის დონადონი კვლავ გამოიძახებს ნაკრებში. ეს მაშინ მოხდება, როდესაც ფრანჩესკო ტრავმას ბოლომდე მოიშუშებს. ნუ დავივიწყებთ, რომ ტოტის კოჭი სერიოზულად დაუშავდა და მისი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში თავგანწირვის ტოლფასი იყო. ვფიქრობ, სექტემბერში ის „სკუადრა აძურას" დაუბრუნდება და ისევ გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი გახდება. ფრანჩესკო ტოტი ამას იმსახურებს".

**პაპუნა ძედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერლუსკონის აუხდენელი ბაბა და ჩიჩია: კაკა და ადრიანო

**„მილანის"** პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის ოცნებაა, ადრიანოს „შავ-წითელი" მაისურა მოარგოს და კაკასთან ერთად ათამაშოს, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს შეუძლებელია. პრეზიდენტმა კლუბის სამომავლო გეგმებზე საუბარში აღნიშნა: „ადრიანო და კაკა ერთად „მილანში"? ეს ალბათ აუხდენელი ოცნებაა, არადა, დიდებული იქნებოდა".

გარდა ამისა, ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ მასიმო ოდოს თაობაზე „ლაციოს" ოფიციალურად მიმართეს: „ჩვენ საკმაოდ სარფიანი გარიგება შევთავაზეთ და ახლა სიტყვა მათზეა. ოდო მსოფლიოს ჩემპიონია და საუკეთესო ფორმაშია, მაგრამ იმაზე მეტს არ გადავიხდით, რაც შევთავაზეთ".

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ და „ლაციოს" პატრონმა კლაუდიო ლოტიტომ დაადასტურეს, რომ ოდოს ტრანსფერი მალე მოგვარდება.

„მილანს" მეკარე ნელსონ დიდას ამბავიც აღელვებს, რომელსაც კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, მაგრამ გახანგძლივებას არ ჩქარობს, არადა, ვადა თებერვლამდე მისცეს. დიდას გუნდში 2011 წლამდე დარჩენა შესთავაზეს, თუმც ბრაზილიელს კონტრაქტის ფინანსური მხარე ჭკუაში არ დაუჯდა და ამიტომ აყოვნებს. მან წელიწადში 3 მილიონ 500 ათასი გირვანქა ითხოვა, კლუბი კი მხოლოდ 2 მილიონ 500 ათასის სთავაზობს. 33 წლის მეკარე ჩემპიონთა ლიგის მატჩში აეკ-თან დაშავდა და ახლა თითქმის მომჯობინდა. სავარაუდოდ, მომავალ თვეში ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება, კლუბი კი დაჟინებით სთხოვს წასვლა-დარჩენის ამბავი თებერვლამდე გადაწყვიტოს. დიდას „ჩელსიში", „მანჩესტერში" ან „ინტერში" გადასვლის ვარიანტები აქვს და თუ წავა, „მილანი" „იუვენტუსიდან" ჯანლუიჯი ბუფონის გადაბირებას ეცდება.

**ირაკლი ნინიძე**

# მსოფლიოს ჩემპიონის წნევა

**ბრაზილიელი** მსოფლიოს ჩემპიონი, დიდი თაობის ვარსკვლავთ ვარსკვლავი 81 წლის ნილტონ სანტოსი ოთხშაბათს ჰიპერტონიული კრიზის გამო საავადმყოფოში დააწვინეს. ჩვეულებრივად რომ ვთქვათ, სანტოსს წნევამ აუწია. ეს ინფორმაცია მისმა ყოფილმა კლუბმა „ბოტაფოგომ" გაავრცელა.

„ბოტაფოგოს" ცნობით, სანტოსი, რომელიც ბრაზილიის ნაკრებში 1954 წლიდან გამოდიოდა და 1958 და 1962 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე ითამაშა, რიო დე ჟანეიროდან 100 კილომეტრში მდებარე არარუამას საავადმყოფოში წევს, სადაც მას რამდენიმე დღის განმავლობაში დააკვირდებიან.



ცნობისთვის, ნილტონ სანტოსმა ოქტომბერში გულის პრობლემების გამო საავადმყოფოში სამი კვირა გაატარა.

ნილტონ სანტოსმა ფეხბურთს თავი 37 წლისამ დაანება.

**პაპუნა ძედია**

# ბაჭიას გამო ალავესმა პიტერმანს აგინა

**ესპანეთი**

თასის მერვედფინალი

პირველი მატჩები

**ატლეტიკო 1:1 ოსასუნა**

0:1 ვებო (36), 1:1 ფ. ტორესი (73)

**მალაგა 0:3 სარაგოსა**

0:1, 0:2 სერხიო გარსია (12, 49), 0:3 ოსკარი (75)

**ვალიადოლიდი 2:1 ვილიარეალი**

1:0 ლოსადა (19), 1:1 ხოსე მარი (20), 2:1 ლორენტე (69)

**მალიორკა 1:2 დეპორტივო**

0:1 ადრიანი (55), 0:2 ტაბორდა (62), 1:2 მაქსი ლოპესი (90)

**რაიო ვალეკანო 0:0 სევილია**

**ხეტაფე 1:1 ვალენსია**

1:0 პაუნოვიჩი (1), 1:1 დ. სილვა (90)

**ალავესი 0:2 ბარსელონა**

0:1, 0:2 სავიოლა (57, 80)

**ატლეტიკო 1:1 ოსასუნა**

0:1 ვებო (36), 1:1 ტორესი (73)



სავიოლამ (მარჯვნივ) დუბლი შეასრულა

**„ატლეტიკომ“** და „ოსასუნამ“ კოპა დელ რეის მერვედფინალის პირველ მატჩში ფრედ ითამაშეს. „ოსასუნამ“ „ვისენტე კალდერონზე“ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლო, თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში „ათლეტებმა“ ათი კაცით ითამაშეს — პაბლო იბანიესმა ვებო მოჩეხა და მსაჯმაც მასპინძელთა მცველი მოედნიდან მოაბრძანა. საბოლოოდ მატჩი 1:1 დასრულდა, „კალდერონზე“ თავმოყრილმა ინჩასებმა კი ბევრად ვერაფრით ისიამოვნეს, თამაშს ლამაზი ეპიზოდები აკლდა.

შეხვედრაში „ათლეტთა“ მხრიდან მანიშე არ მონაწილეობდა. პორტუგალიელი მატჩისწინა ვარჯიშზე დაგვიანებით გამოცხადდა და ხავიერ აგირემ იგი განაცხადიდან ამოგდებით დასაჯა. „ოსასუნას“ კი მწვრთნელი ზიგანდა აკლდა, ნავარელთა დამრიგებელი დაჯარიმებული იყო და გუნდს „კალდერონზე“ მისმა ასისტენტებმა უხემძღვანელეს.

თამაშის პირველი სახიფათო ეპიზოდი მადრიდელებმა შექმნეს. მეთორმეტე წუთზე ხურადომ მისტას კარგი პასი მისცა, მაგრამ ამ უკანასკნელმა გატანა ვერ შეძლო. 26-ე წუთზე კი ფერნანდოს ჩაწოდების შემდეგ სერხიო აგერომ ვერ ივარგა.

პირველი გოლი მაინც ნავარელებმა გაიტანეს. დავიდ ლოპესმა კუთხური ჩააწოდა, ბურთი მეტოქის მცველებმა მოიგერიეს, მაგრამ წამსვე კვლავ ლოპესმა ხავიერ ფლანიოს ჩააწოდა „ატლეტიკოს“ საჯარიმოზე. ფლანიომ ვებოს უპასა და ნავრელთა აფრიკელმა თავდამსხმელმაც ტაბლოზე 0:1 დააფიქსირა.

მეორე ტაიმში „ათლეტები“ მოწინააღმდეგის მისადგომებს შეუპოვრად მიაწვნენ, თუმცა მალე შეცბუნდნენ. 48-ე წუთზე მსაჯმა პაბლო იბანიესი გააძევა. „ატლეტიკოსაც“ სხვა რაღა დარჩენოდა, უკანმოუხედავად შეტევაზე ხელი აიღო და ზომიერ იერიშებს მიმართა. „ოსასუნადან“ გატანა ხუანლუს, ნეკუნამს და ვებოს შეეძლოთ, მაგრამ კარგი ეპიზოდები ვერ გამოიყენეს. „ატლეტიკომ“ კი ანგარიში ფერნანდო ტორესის იღბლიანი დარტყმის შემდეგ გაათანაბრა — პერეას პასის მერე „ელ ნინიომ“ ბრწყინვალე გოლი შეაგდო.

პრიმერადივიზიონის ლიდერმა „სევილიამ“ მადრიდში „რიო ვალეკანოს“ ვერ მოუგო. თამაში უგოლოდ დასრულდა. ის კი არა, ანდალუზიელთა სათადარიგო მეკარე კობენიოს რომ არ ევაჟკაცა, ხუანდე რამოსის გუნდი სახლში დამარცხებული დაბრუნდებოდა. „სევილია“ ამას წინათ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ 2006 წლის მსოფლიოს საუკეთესო კლუბად დაასახელა, თუმცა რამოსის ბიჭებმა დაბალლიგელი „რაიოს“ დაჩაგვრა მაინც ვერ შეძლეს. სხვათა შორის, რვა წლის წინ სენიორ ხუანდე „რაიო ვალეკანოს“ მწვრთნელიც იყო.

„ესტადიო დე ვალიეკაზე“ თავიდან რაღაც უჩვეული სპექტაკლი გათამაშდა. მოგახსენებთ, რომ „რაიო ვალეკანო“ კოპა დელ რეიზე სეგუნდა **B** დივიზიონის ერთადერთი წარმომადგენელია, ბობოლა „სევილია“ კი გვარიანად გააწვალა. ყველაზე გამორჩეული სევილიური ხიფათი პირველ ტაიმში ურუგვაელი ჩევანტონის საჯარიმო გასროლას მოჰყვა — „რაიოს“ მეკარეს ჩაეძინა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, ბურთმა ძელს „აკოცა“.

შემდეგ [illegible] ხელსაყრელი მომენტი. მიჩელის კუთხურის შემდეგ ალბიოლმა იკისრა თავური, ოღონდ მცირედ არაზუსტად. მერე ჩევანტონმა და ანტორ ოსიომ გამოიღვიძეს, მაგრამ მათი დარტყმებიც მიზანს ასცდა. ზემოხსენებულმა კობენიომ კი მატჩის მიწურულს იფრინა, ამაიას და დიეგო ტორესის თავურები მოხსნა და „სევილია“ დამარცხებას გადაარჩინა.

„ბარსელონამ“ „ალავესი“ დააჩოქა. „ესტადიო მენდისოროსაზე“ გამარჯვების გოლები სტუმართა „ბაჭიამ“, არგენტინელმა ხავიერ სავიოლამ შეაგდო. პირველად პატაგონიელმა ადგილობრივთა მეკარე არდოუინი ჟიულის შესანიშნავი პასის შემდეგ გაამწარა, მეორედ კი კუთხურის მერე გაიტანა.

„პიტერმან, წაეთრიე!“ — ბღაოდნენ თამაშის მიწურულს ვიტორიელი ფანები. „ალავესის“ ინჩასობა გუნდის კრიზისს პრეზიდენტ დმიტრი პიტერმანს აბრალებს.

„სარაგოსამ“ „მალაგას“ გასვლაზე ჯოჯოხეთი მოუწყო, 3:0 დაამარცხა და მერვედფინალში გასვლა თითქმის გაინაღდა. „ვალენსიამ“ „ხეტაფესთან“ ოდენ ფრე გაახერხა და 91-ე წუთზე სილვას სასწაულით რომ არ გაეთანაბრებინა, ისიც სანატრელი გაუხდებოდა. „ვალიადოლიდმა“ კაცნაკლულად დარჩენილ „ვილიარეალს“ მოუგო, ხოლო ხოაკინ კაპაროსის „დეპორტივომ“ გრეგორიო მანსანოს „მალიორკას“.

**ლადო ხომერიკი**

# ლეტო იანვარში

## არგენტინელი ლივერპულში ტელევიზორს შეხვდება



სებასტიან ლეტო

**„ლივერპულმა“** არგენტინული „ლანუსიდან“ ნახევარმცველი სებასტიან ლეტო იყიდა. ეს ამბავი ბუენოსაირესული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკოლა რუსომ დაადასტურა.

გუნდში რაფაელ ბენიტესის მისვლის შემდეგ „ლივერპულში“ სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების რიცხვიც გაიზარდა და სამწვრთნელო შტაბშიც ბევრი ოკეანისგაღმელია. ახლა მათ 20 წლის არგენტინელი ფეხბურთელიც დაემატათ, რომელიც ინგლისელებს 3 მილიონ 600 ათასი დოლარი დაუჯდათ.

სებასტიან ლეტო გამთამაშებელია და გასულ სეზონში 34 მატჩში ექვსი გოლი გაიტანა. „გადავდივარ გუნდში, რომელსაც უმდიდრესი ისტორია აქვს, ორი წლის წინ კი ჩემპიონთა ლიგა მოიგო — განაცხადა ფეხბურთელმა — ჯერაც არ მჯერა რომ ეს მოხდა. მხოლოდ ტელევიზორში მინახავს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაში, ახლა კი მათ მოედანზე შევხვდები. ცხადია, ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება რთული იქნება. არ ვიცი რა მელის, მაგრამ რაც შეიძლება მალე მსურს ახალი მაისურით ბურთის გაგორება. სისწრაფე არ მაკლია, ინგლისში კი კონტრშეტევებისას ეს ძალიან გამომადგება.“

სებასტიან ლეტოს „ლივერპულში“ თანამემამულე გაბრიელ პალეტა დახვდება, რომელიც შარშან ზაფხულს იყიდეს „ბანფილდიდან“, მაგრამ ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ იყო ძირითად შემადგენლობაში.

„ლივერპულისთვის“ ცუდი ამბავი კი ისაა, რომ ესპანელი ნახევარმცველი ლუის გარსია ივნისამდე ველარ ითამაშებს, რადგან „არსენალთან“ სათასო მატჩში მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა. გარდა ამისა დაშავდა ჩილელი ნახევარმცველი მარკ გონსალესი და მას სამკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს.

**ირაკლი ნინიძე**

# ვილაპარაკოთ გირვანქებზე

| 14389 | რასინგი-სოსიედადი | 1.65 | 2.20 |
| 14390 | სევილია-მალიორკა | 1.12 | 2.60 |
| 14391 | ვალენსია-ლევანტე | 1.12 | 2.60 |
| 14414 | ოსერი-სოშო | 1.70 | 2.10 |
| 14415 | ბორდო-ლორიანი | 1.40 | 2.40 |
| 14416 | ლე მანი-ტრუა | 1.60 | 2.30 |
| 14417 | ლანსი-ლილი | 1.70 | 2.10 |
| 14418 | ნანტი-ნიცა | 1.65 | 2.20 |
| 14419 | პსჟ-ვალენსიენი | 1.30 | 2.50 |
| 14420 | რენი-მარსელი | 1.80 | 2.00 |
| 14421 | სედანი-ნანსი | 1.90 | 1.90 |
| 14422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.65 | 2.10 |
| 14423 | ტულუზა-ლიონი | 2.50 | 1.30 |
| 14555 | ბილბაო-ვილარეალი | 1.80 | 2.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15035 | უოტფორდი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15036 | ევერტონი-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15037 | ბოლტონი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15038 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15039 | ჩელსი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15041 | შეფილდი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | ვესტ ჰემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15044 | ბლექბერნი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15278 | აბერდინი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15279 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15280 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15281 | სტ.მირენი-მაზერველი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15282 | ჰარტსი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15283 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15333 | ქიევო-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15334 | ტორინო-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15335 | ატალანტა-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15336 | კალიარი-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15337 | ემპოლი-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15338 | მესინა-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15339 | მილანი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15340 | პალერმო-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | სამპდორია-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15342 | ლაციო-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15383 | სელტა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15384 | ესპანიოლი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15385 | ტარაგონა-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15386 | ოსასუნა-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15387 | რეალი-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15388 | უელვა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15389 | რასინგი-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15390 | სევილია-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15391 | ვალენსია-ლევანტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15414 | ოსერი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15415 | ბორდო-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15416 | ლე მანი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15417 | ლანსი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15418 | ნანტი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15419 | პსჟ-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15420 | რენი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15421 | სედანი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15423 | ტულუზა-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15555 | ბილბაო-ვილარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე
## (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16035 | უოტფორდი-ლივერპული | 5.50 | 1.07 |
| 16036 | ევერტონი-რედინგი | 1.35 | 2.70 |
| 16037 | ბოლტონი-სიტი | 1.22 | 3.50 |
| 16038 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1.65 | 1.95 |
| 16041 | შეფილდი-პორტსმუთი | 1.85 | 1.75 |
| 16042 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1.50 | 2.30 |
| 16043 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.22 | 3.60 |
| 16044 | ბლექბერნი-არსენალი | 2.90 | 1.32 |
| 16278 | აბერდინი-ინვერნესი | 1.25 | 3.30 |
| 16279 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 1.20 | 3.70 |
| 16280 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.05 | 7.00 |
| 16281 | სტ.მირენი-მაზერველი | 1.60 | 2.00 |
| 16282 | ჰარტსი-სელტიკი | 2.90 | 1.30 |
| 16283 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1.75 | 1.85 |
| 16333 | ქიევო-პარმა | 1.40 | 2.50 |
| 16334 | ტორინო-ინტერი | 4.80 | 1.12 |
| 16335 | ატალანტა-ლივორნო | 1.35 | 2.85 |
| 16336 | კალიარი-ასკოლი | 1.15 | 4.20 |
| 16337 | ემპოლი-კატანია | 1.60 | 2.10 |
| 16338 | მესინა-რომა | 4.20 | 1.15 |
| 16340 | პალერმო-უდინეზე | 1.20 | 3.50 |
| 16341 | სამპდორია-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 16342 | ლაციო-სიენა | 1.17 | 4.10 |
| 16383 | სელტა-ატლეტიკო | 1.75 | 1.85 |
| 16384 | ესპანიოლი-ბარსელონა | 4.00 | 1.16 |
| 16385 | ტარაგონა-ხეტაფე | 1.85 | 1.75 |
| 16386 | ოსასუნა-ბეტისი | 1.37 | 2.65 |
| 16387 | რეალი-სარაგოსა | 1.16 | 4.00 |
| 16388 | უელვა-დეპორტივო | 1.50 | 2.25 |
| 16389 | რასინგი-სოსიედადი | 1.45 | 2.40 |
| 16390 | სევილია-მალიორკა | 1.03 | 7.00 |
| 16391 | ვალენსია-ლევანტე | 1.04 | 6.50 |
| 16414 | ოსერი-სოშო | 1.45 | 2.50 |
| 16415 | ბორდო-ლორიანი | 1.18 | 3.80 |
| 16416 | ლე მანი-ტრუა | 1.25 | 3.40 |
| 16417 | ლანსი-ლილი | 1.48 | 2.40 |
| 16418 | ნანტი-ნიცა | 1.45 | 2.40 |
| 16419 | პსჟ-ვალენსიენი | 1.17 | 4.00 |
| 16420 | რენი-მარსელი | 1.60 | 2.10 |
| 16421 | სედანი-ნანსი | 1.80 | 1.80 |
| 16422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.35 | 2.80 |
| 16423 | ტულუზა-ლიონი | 4.20 | 1.17 |
| 16555 | ბილბაო-ვილარეალი | 1.60 | 2.00 |

## გოლი:ფყვილი-1თუ კენტი-2
## (0:0 ითვლება ფყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17035 | უოტფორდი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17036 | ევერტონი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | ბოლტონი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17038 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17039 | ჩელსი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17041 | შეფილდი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17042 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17044 | ბლექბერნი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17278 | აბერდინი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17279 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17280 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17281 | სტ.მირენი-მაზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17282 | ჰარტსი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17283 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17333 | ქიევო-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17334 | ტორინო-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17335 | ატალანტა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17336 | კალიარი-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17337 | ემპოლი-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17338 | მესინა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17339 | მილანი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17340 | პალერმო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17341 | სამპდორია-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17342 | ლაციო-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17383 | სელტა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17384 | ესპანიოლი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17385 | ტარაგონა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17386 | ოსასუნა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17387 | რეალი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17388 | უელვა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17389 | რასინგი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17390 | სევილია-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17391 | ვალენსია-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17414 | ოსერი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17415 | ბორდო-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17416 | ლე მანი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17417 | ლანსი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17418 | ნანტი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17419 | პსჟ-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17420 | რენი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17421 | სედანი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17423 | ტულუზა-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17555 | ბილბაო-ვილარეალი | 1.85 | 1.95 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაფრინდაშვილის ევროპული ოდისეა ლატვიაში დასრულდა



გასული წლის ერთ-ერთი ყველაზე მომთაბარე ქართველი კალათბურთელი გიორგი გაფრინდაშვილი იყო, რომელმაც არაერთი კლუბი მოიარა. სად აღარ იყო — საბერძნეთში, ხორვატიაში, ბოსნიასა თუ სლოვენიაში, მაგრამ ვერსად დამკვიდრდა და ეს სეზონი რომ დაიწყო, კვლავ კლუბს ეძებდა. შემოთავაზებები, იცოცხლეთ, ბევრი ჰქონდა, მაგრამ ნაირგვარ მიზეზთა გამო საქმე ბოლომდე ვერ მიდიოდა და აი, ყველაფერს წერტილი წაესვა: გაფრინდაშვილი რიგის ასკ-მ მიიწვია, კონტრაქტიც გაუფორმა და უკვე წარმატებითაც თამაშობს ლატვიის ჩემპიონატში. მას რიგაში შევეხმიანეთ და იქაური ამბები გამოვკითხეთ...

— მეორე თვეა, რიგაში ვარ და ასკ-ს იუნიორთა გუნდში ვთამაშობ. ხუთეულის უცვლელი წევრი ვარ და მოედანზე საშუალოდ 30-35 წუთს ვატარებ.

— ასკ-ს დუბლებში ხარ თუ ძირითად გუნდში?

— ძირითადში არა, იუნიორთა გუნდში, თუმც ის სრულიად დამოუკიდებელი კლუბია. ასკ-ს ძირითადი გუნდი ბალტიის ლიგასა და ფიბა-ევროპის ტურნირში თამაშობს, იუნიორები კი ლატვიის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოვდივართ. აქ დაახლოებით ისეთი ვითარებაა, როგორიც სლოვენიაში, სადაც ქვეყნის წამყვანი 4 გუნდი ეროვნულ ჩემპიონატს ბოლო სტადიაში ებმება — როცა 4 საუკეთესო გამოვლინდება, ამათ ის 4 ბობოლა დაემატება, რომლებიც მანამდე ადრიატიკის ლიგაში, ევროლიგასა და სხვა ევროტურნირებში გამოდიოდნენ.

— ახლა რა სტადიაშია ლატვიის ჩემპიონატი?

— ახლა შესვენებაა, თუმც საუკეთესო ოთხეული უკვე გამოვლინდა, რომელთა შორისაც ჩვენი გუნდიც მოხვდა. ასკ-ს იუნიორები 12-გუნდა ტურნირში მესამე ადგილზე გავედით და ფინალურ სტადიაზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ, სადაც ჩემპიონობისთვის 8 გუნდი იბრძოლებს.

— ის ოთხი გუნდი რომელია, რომლებიც ახლა ჩაერთვებიან ლატვიის ეროვნულ ჩემპიონატში?

— „ვენტსპილსი“, „ბარონსი“, ასკ და კიდევ ერთი რომელიღაც გუნდი. ესენი აქამდე სხვა საერთაშორისო ტურნირებში თამაშობდნენ.

— ესე იგი, ასკ-ს ორი გუნდი იბრძოლებს ჩემპიონობისთვის?

— ეს ჩვეულებრივი ამბავია. ხომ ვთქვი, რომ ჩვენი გუნდი სრულიად დამოუკიდებელია ასკ-ს ძირითადისგან.

— ახლა ის გვითხარი, როგორ მოხვდი ასკ-ში...

— სრულიად მოულოდნელად. ბოსნიაში მივდიოდი, მაგრამ ვიზა ვერ გავაკეთე და ამასობაში ჩემმა მენეჯერმა ასკ-ს ვარიანტი გამონახა. ლატვიელებმა მიმიწვიეს, გამსინჯეს და სეზონის ბოლომდე კონტრაქტიც გამიფორმეს.

— სეზონი რომ დამთავრდება, მერე რას აპირებ?

— აქაურობას კარგად მოვერგე, გუნდის ხელმძღვანელობა ჩემით კმაყოფილია და როგორც მეუბნებიან, ჩემთან დამშვიდობება არ უნდათ. მპირდებიან, რომ ასკ-ს ძირითად გუნდში გადამიყვანენ, მაგრამ ჯერ რამის გადაწყვეტით თქმა ძნელია. ვნახოთ, რა იქნება. მთავარია, რომ ახლა კარგ გარემოში ვარ. სათამაშო დროც ბლომად მაქვს და თავსაც არ ვირცხვენ.

**ირაკლი პერტაია**

# ჰაკიმი, დიკემბე, ქარიმი მათ ამერიკას დაუფარეს



10 იანვარი

**ჰიუსტონი 102:77 ლეიკერსი**

**ჰიუსტონი:** ჰოვარდი (23 ქულა, 11 მოხსნა), ალსტონი (20), ბეტიე (17), მუტომბო (7 ქულა, 19 მოხსნა, 5 დაფარება)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (20)

**მატჩის** მესამე მეოთხედი მიდიოდა, როცა 40 წლის დიკემბე მუტომბომ ორჯერ უმცროს ლეიკერსელ ყმაწვილ ენდრიუ ბინამს დაუფარა, შემდეგ კი ბავშვივით აღჩატდა, გახარებულმა თითი შემართა და ტრიბუნებს სიამაყით გადახედა. საქმე ისაა, რომ ბებერმა კონგოელმა ცენტრმა კარიერაში 3190-ე დაფარება მიითვალა, რითაც გადაასწრო ლეგენდარულ ქარიმ აბდულ-ჯაბარს და ნბა-ს ყველა დროის უძლიერეს დამფარებელთა სიაში კიდევ ერთი ყოფილი ჰიუსტონელის ჰაკიმ ოლაჯუონის ზურგსუკან მეორე პოზიციაზე გამაგრდა. ჰაკიმამდე შორია, ასევე აფრიკის წიაღში შობილ ოლაჯუონს მუტომბოზე 639 დაფარებით მეტი უხვეჭია და ძნელი სათქმელია, მას ვინმე ოდესმე დაეწევა თუ ვერა, მაგრამ არც მეორე ადგილია ურიგო შედეგი.

„16 წლის წინ ამ ლიგაში რომ მოვედი, ერთადერთი მიზანი მქონდა, ხალხისთვის თავი დამემახსოვრებინა, როგორც საუკეთესო მცველს“ — ამბობდა ნამატჩევს მუტომბო. მან ეს გადასარევად შეძლო, ოთხჯერ დაასახელეს სეზონის საუკეთესო დამცველად.

მოხსნები და დაფარებები, აი, ამ 218-სანტიმეტრიანი ახმახი ბებერის ცხოვრებისეული პროფილი (ქველმოქმედებასთან ერთად). ახლა ის ძველებურად ველარ ყოჩაღობს, „ჰიუსტონში“ ახალგაზრდა და ჯანიანი იაო მინის შემცვლელია, მაგრამ, რაც მინი დაიმტვრა, მოედანზე მისი ადგილი დიკემბემ დაიკავა და 9 თამაშიდან 8-ში 10-ზე მეტი მოხსნა მიითვალა. როგორც ხედავთ, არც დაფარებები ავიწყდება.

**კოტე ყორშია**

**ატლანტა 77:956 ნიუ ორლეანი**

**ატლანტა:** კლაქსტონი (4), ჯონსონი (13), მ. უილიამსი (7), შ. უილიამსი (10), ფაჩულია (10 წუთი, 1 ქულა, 1 პასი, 1 ჩაჭრა); ჩილდრესი (10), სტუდემაიერი (8), ტომპსონი (6), აივი (5), ჯონსი (2), მედვედენკო (2), რაიტი
**ნიუ ორლეანი:** ბრაუნი (16), მეისონი (1), ბატლერი (21), ჯეკსონი (9), ჩანდლერი (14); პარგო (24), ჯონსონი (9), არმსტრონგი (2), საიმონსი

**გოლდენ სტეიტი 76:91 ორლანდო**

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (14)
**ორლანდო:** ჰოვარდი (30 ქულა, 25 მოხსნა)

**ვაშინგტონი 113:103 ჩიკაგო**

**ვაშინგტონი:** ბატლერი (26 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), არენასი (20), ჯემისონი (18)
**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (33), გორდონი (25), ნოჩიონი (20), ვოლესი (16 მოხსნა)

**სიეტლი 103:107 მაიამი**

**სიეტლი:** ალენი (29), უილკოქსი (28 ქულა, 13 მოხსნა), კოლისონი (21)
**მაიამი:** ვეიდი (29 ქულა, 13 პასი), კაპონო (19)

**ბოსტონი 84:97 ინდიანა**

**ბოსტონი:** ალენი (19)
**ინდიანა:** ონილი (23 ქულა, 15 მოხსნა), ტინსლი (17 ქულა, 13 პასი)

**დეტროიტი 96:103 შარლოტი**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (23), პრინსი (17), მიურეი (18)
**შარლოტი:** ფელტონი (18), კეროლი (17), მორისონი (16)

**ნიუ იორკი 106:99 ფილადელფია**

**ნიუ იორკი:** მარბერი (24), კარი (20 ქულა, 10 მოხსნა)
**ფილადელფია:** დალემბერი (18), სმიტი (16)

**მილუოკი 77:90 ტორონტო**

**მილუოკი:** ბოგუტი (17 ქულა, 18 მოხსნა), პატერსონი (17)
**ტორონტო:** ბოში (30), პარკერი (18)

**მინესოტა 91:92 კლიპერსი**

**მინესოტა:** დევისი (24), ბლუნტი (21), გარნეტი (19 ქულა, 17 მოხსნა)
**კლიპერსი:** ბრენდი (21), მაგეტი (21), კასელი (18)

**დალასი 99:74 პორტლენდი**

**დალასი:** ტერი (20), ჰოვარდი (17)
**პორტლენდი:** რენდოლფი (21)

**დენვერი 83:92 სან ანტონიო**

**დენვერი:** აივერსონი (33), ბოიკინსი (18)
**სან ანტონიო:** პარკერი (26), დანკანი (19 ქულა, 13 მოხსნა), ჯინობილი (16)

# მარკოიშვილის დაწყებული ოლიმპიამ დახურა

**ლიუბლიანის** „ოლიმპიას“ თავიდანვე ასე რომ ეთამაშა, მის ჯგუფიდან გასვლას წინ რა უნდა დადგომოდა... თუმც ახლა გვიანია თითზე კბენანი — მიუხედავად ევროლიგის გასულ ტურში იოლი გამარჯვებისა, სლოვენიის უძლიერესი გუნდის ჯგუფიდან გასვლა საეჭვოა.

ლიუბლიანელებმა გუშინწინ მთავარი კონკურენტი „უნიკახა“ ისტუმრეს და ისე დაჩაგრეს, რომ ოლიმპიელთა მწვრთნელი გასპერ ოკორნი აღაფრთოვანეს.

„ასეთი მატჩები იშვიათია. ეს „ოლიმპიას“ საუკეთესო თამაში იყო ამ სეზონში. მინდა ყველას დიდი მადლობა ვუთხრა, ჩვენიანებმა გულშემატკივრებს დაუვიწყარი საღამო აჩუქეს. გამარჯვების მთავარი მიზეზი ფარქვეშ მძლავრი თამაში იყო. სამწამიანში ჩვენი კალათბურთელები დომინირებდნენ და ესპანელებს გასაქანს არ აძლევდნენ“.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეც ცენტრალური თავდამსხმელი გახდა — ოლიმპიელმა მარკო მილიჩმა 13 სროლიდან 11 ჩააგდო და 19 ქულით ბომბარდირობა დაიბევა. მანუჩარ მარკოიშვილისთვის ეს არ ყოფილა გამორჩეული მატჩი, თუმც მანაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლიუბლიანელთა წარმატებაში.

„ოლიმპიამ“ თავიდანვე რომ გამოაჩინა საკუთარი ძალა და „უნიკახა“ ელვისებური შტურმით დააფრთხო, ხსენებულ მილიჩთან ერთად მარკოიშვილის დამსახურებაცაა. ქართველმა უკანახაზელმა საჯარიმო ხაზიდან გახსნა ანგარიში და სათავე დაუდო „ოლიმპიელთა“ გალაღებას — მასპინძლები 12:0 დაწინაურდნენ.



ლიუბლიანელთა გამარჯვებას საფუძველი მანუჩარ მარკოიშვილმა (მარცხნივ) ჩაუყარა

ეს 12 ქულა მხოლოდ 2 ოლიმპიელზე მოდიოდა — მანუჩარსა და მარკო მილიჩზე. მარკოიშვილმა მთლიანობაში ოდენ 5 ქულა ჩააგდო, თუმც მთელი ეს მონაგარი ხსენებულ სადებიუტო წუთებზე მოდის.

საწყისი მეოთხედი „ოლიმპიამ“ 18:11 მოიგო და მეორედან კიდევ უფრო გაზარდა ლიდერობას. თამაში ისე ჩამთავრდა, „უნიკახას“ წარმატების შანსი არ მისცემია — რაც დრო გადიოდა, ოლიმპიელთა უპირატესობა მით უფრო იზრდებოდა.

ამ გამარჯვებამ „ოლიმპია“ ვერ დაიხსნა ევროლიგის B ჯგუფის ფსკერიდან, თუმც მარკოიშვილის გუნდს ახლა ერთი გამარჯვება აშორებს პლეი ოფში გამსვლელ მეოთხე ადგილთან და უეჭველია, მებრძოლი ოლიმპიელები ამ შანსს ბოლომდე ჩაებღაუჭებიან.

**ირაკლი პერტაია**

ველორბოლა

# უმხედრო თავი?!

## ველოსპორტის თავკაცმა სხეულის მოკვეთა განიზრახა




**პეტ მაკვეიდი** საერთაშორისო ველოსპორტის ჭანჭიკი არ გეგონოთ, შარშანდელი სექტემბრიდან მსოფლიო ველოფედერაციის თავკაცი გახავთ, მაგრამ პატივცემული პრეზიდენტი ისეთ განცხადებას აკეთებს, ქუჩის ბირჟაზე მდგომი უსაქმური გეგონებათ. ამასწინანდელ გამოსვლაში მან ბევრი ილაპარაკა ველოსპორტის უმთავრეს პრობლემაზე — დოპინგზე და პრაქტიკულად არაფერი უთქვამს იმის მეტი, თუ რაოდენ სუფთანი არიან ევროპის ჩრდილოეთ ქვეყნების წარმომადგენელი მრბოლები, ხოლო სამხრეთი ქვეყნების შვილებს სუფთა არც სისხლი აქვთ და არც სინდისი.

აი, ნაწყვეტი მისი გამოსვლიდან: „სადღეისოდ ველოსპორტში ჩვენ თვალ-ყურს ვადევნებთ ორი კულტურის შეტაკებას: ერთის მხრივ ანგლოსაქსურის, ხოლო მეორეს მხრივ იმის, რომელსაც მე მაფიოზურ დასავლეთ-ევროპულს დავარქმევდი. ამ უკანასკნელის წარმომადგენლებს ველოსპორტში აქტიურად შემოაქვთ დოპინგი და ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ეს საქმიანობა მათ ცხოვრებისეულ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება. ანგლოსაქსურ კულტურას მე პირველ რიგში გერმანიას, დანიას და დიდ ბრიტანეთს ვათვლი. ჩვენ ანტიპოიდები ვართ. ჩვენი კულტურის ნათელ გამოვლინებად იქცა გერმანული გუნდების პოზიცია ივლისის დოპინგ-მორევის დროს, როდესაც ისინი ღიად და უკომპრომისოდ მოქმედებდნენ. მე ვიმედოვნებ, რომ ამ ბრძოლაში ანგლოსაქსები გაიმარჯვებენ და ჩვენ ერთობლივად ამოვძირკვავთ დოპინგს. წინააღმდეგ შემთხვევაში ველოსპორტი განწირულია...“

მისტერ მაკვეიდს არ უხსენებია, მაგრამ „მაფიოზურ დასავლეთევროპულ“ ქვეყნებში პირველ რიგში იტალია, ესპანეთი და ალბათ საფრანგეთიც იგულისხმა. სწორედ ამ ქვეყნების მრბოლები შეადგენენ მსოფლიო ველოელიტის უდიდეს ნაწილს. თავად პრეზიდენტი ირლანდიელია და ალბათ თავი უფლებამოსილად ჩათვალა, მის მიერ ნახსენებ ანგლოსაქსებში გარეული(ყო), რადგან მისი ქვეყანა ჩრდილოეთით მდებარეობს.

საინტერესოა, რას ფიქრობს მაკვეიდი ფლოიდ ლენდისზე? ესეც მაფიოზი სამხრეთელი ხომ არ არის. 2006 წლის ტურ დე ფრანსის მომგები ლენდისი — მაკვეიბის ენითვე რომ ვთქვათ — ანგლოსაქსური კულტურის შვილია და ის რომ სკანდალში გაეხვა, ისეთი სპორტის ამ მრავალნადოპინგალი სახეობის ისტორიას საერთოდ არ ახსოვს. ასე რომ, მისტერ მაკვეიბს გვარიანად შეეშალა, როცა მსოფლიო ველოსპორტი კომბოსტოსავით ორად გაყო და ორ ქვაბში ცალ-ცალკე ჩააწყო.

ან თუნდაც რა პრეზიდენტის სათქმელია — სამხრეთელები მაფიოზები არიან და უნდა მოიკვეთონო. იტალიური პასპორტის მქონე ყველა ადამიანი მაფიოზია? ან ყველა ესპანელს ჯიბეში დანა უდევს? ასეთი მყვირალა განცხადებებით, საეჭვოა, მაკვეიბმა რამეს უშველოს. პირიქით, დიდი შანსია, კიდევ უფრო ამღვრიოს წყალი და მაყურებელს გული აიცრუებინოს სპორტის იმ სახეობაზე, რომელსაც ბოლო ათწლეულში ისედაც გვარიანად შეულახა პრესტიჟი დოპინგსკანდალების დაუსრულებელმა ჯაჭვმა.

**ირაკლი ფირაშვილი**

ბიატლონი

## მსოფლიოს თასი. მეხუთე ეტაპი
## რუჰპოლდინგი (გერმანია). 10-14 იანვარი



# ბიორნდალენი: დალოი რუსებს!

**ბიატლონის** მეფემ, ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა ამ ჯერზეც დაამტკიცა, რომ მყარად ზის სამეფო ტახტზე და თუ შემთხვევით ტყვია აცილა, აცილებულს თხილამურებით დაეწევა და მაინც ყველას გაასწრებს.

ასე მოხდა გუშინ გერმანულ რუჰპოლდინგშიც, სადაც 2006-07 წლების მსოფლიოს თასის მე-5 ეტაპი მიმდინარეობს და კაცები 4X7,5 კილომეტრ ესტაფეტაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ბოლო ხანს იმ ეტაპზე მყოფი რუსები ბოლო სასროლეთამდე ლიდერობდნენ და, როდესაც ამ სასროლეთზე წინა ეტაპზე, ერთბაშად სამი ეტაპის მომგებმა ნიკოლაი კრუგლოვმა უშეცდომოდ ისროლა და ბიორნდალენზე ადრე დატოვა სტადიონი, რუსმა კომენტატორმა მთელი „ევროსპორტი“ აიკლო, აქაოდა, ჩვენ ვართ და ჩვენი თხილამურებიო...

ნახსენებ რუს კომენტატორს კივზი ნაცარში ჩაუვარდა — ოლე ეინარმა სულ მალე აინაზღაურა დანაკლისი, კრუგლოვი უმალ მოიტოვა უკან და ნორვეგიული კვარტეტი პირველი მიიყვანა ფინიშთან.

დღეს და ხვალ რუჰპოლდინგში სპრინტი და გამოდევნებით რბოლაა და ბიორნდალენი ისეთ ხასიათზე ჩანს, გული გვიგრძნობს, ორთავეს თუ არა, კიდევ ერთ რბოლას მაინც მოიგებს.

### კაცები

**4X7,5 კმ (4X2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ნორვეგია (სვენდსენი, ჰანევოლდი, ანდერსენი, ბიორნდალენი) | 1სთ.29წთ.17,0წმ (2 საჯარიმო წრე, 7 დამატებითი ვაზნა) |
| 2. რუსეთი (ჩერეზოვი, ჩუდოვი, იაროშენკო, კრუგლოვი) | +4,6წმ (0+9) |
| 3. გერმანია (გროსი, რიოში, ბირნბახერი, ვოლფი) | +37,7 (0+10) |
| 4. შვედეთი | +56,7 (1+4) |
| 5. ავსტრია | +1.12,0 (0+6) |

# ბასოს ფასი: მილიონშრეემტა



**გზატკეცილების** და მექანიკური რაშების კიდევ ერთ კაშკაშს, ულრიხის დარად ნადოსინგსკანდალარ ივან ბასოს კი ამ მხრივ ყველაფერი მწყობრში აქვს. იტალიელმა ვარსკლავმა კარგა ხნის წინ ჩამოიფერთხა 2006 წლის ზაფხულში შეყრილი დოპინგ-მტვერი და მოეწყო ამერიკულ გუნდ „დისქავერიში“, რომელშიც კარიერა დაამთავრა ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონმა (1999-05 წლებში) ლენს არმსტრონგმა. არმსტრონგს ამ ტელეარხზე ხშირად ვხედავთ ამავე მაუწყებლის ხშირ და ნაირფეროვან რეკლამებში, ახლა კი ამერიკულ სარეკლამო ზვირთებში „დისქავერის“ იტალიელი ლიდერიც გადაეშვა. ივან ბასომ სპორტული ინდუსტრიის გიგანტ „ნაიკთან“ 2-წლიანი და 1,5-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა და ამიერიდან ისიც გამოჩნდება რეკლამის დიდ ეკრანზე.

„ბასო ბრწყინვალე მრბოლია — ეუბნება „ნაიკის“ წარმომადგენელი მარგი ვარგო „გაძეტა დელო სპორტს“ — ხალხი მას კარგად იცნობს არა მხოლოდ იტალიაში, არამედ ამერიკაშიც, სადაც კარგად ახსოვთ მისი მეტოქეობა ლენს არმსტრონგთან. ჩვენს კომპანიას სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი, ბასო თავის ერთ-ერთ ტელესახედ გახადოს.“

**ბოტე ყორშია**

# შლრიხმა აკვა(ნ)ში უნდა გაიხაროს



**მსოფლიოს** ორგზის ჩემპიონი, სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი, 1997 წლის ტურ დე ფრანსის მომგები და მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე ველოსპორტის დიდვარსკლავი იან ულრიხი იტალიურ გუნდ „აკვა ე საპონეში“ გადადის. გერმანელს სუპერმრბოლს ბოლო ხანს არაფერი მოუგია, პირიქით, შარშან დოპინგსკანდალში გაეხვა და მართალია, იქიდან მშრალად გამოძვრა, მაგრამ სპორტული სიბერის კარიბჭესთან მდგარმა ძვირფასი დრო და კარგ გუნდ „ტი-მობაილში“ ლიდერის ადგილი დაკარგა. ახლა ულრიხმა ჩანს მიაგნო ახალ გუნდს, სადაც მას, რა გასაკვირია და, ლიდერის ადგილს დაუთმობენ და ყველანაირად ეცდებიან 2007 წლის ივნისს, ანუ ტურ დე ფრანსს კარგ ფიზიკურ ფორმაში და მხოლოდ ჩემპიონობაზე ფიქრში შეხვდეს

**ბოტე ყორშია**

მძლეოსნობა

# მარათონული აფერისტობა

**დიდი ბრიტანეთის** შრომითი დასაქმებისა და პენსიების დეპარტამენტმა სრულიად შემთხვევით ერთი თავისი კლიენტის მეტად უნიკალური სიმულაცია გამოამჟღავნა. მავანი, მენსფილდელი პოლ ეპბლი, რომელიც მთელი 13 წლის განმავლობაში ამ უწყებისგან პენსიას იღებდა როგორც ავადმყოფი, რომელსაც ინვალიდის ეტლის გარეშე გადაადგილება არ შეეძლო, სრულიად საღ-სალამათი აღმოჩნდა. ეს კაცი იმდენად ჯანმრთელია, რომ შარნანწინდელი ლონდონის მარათონი, რომელსაც ბევრი სპორტსმენიც კი ზოგჯერ ბოლომდე ვერც დარბის, დისტანცია მთლიანად თავქუდმოგლეჯილმა დაფარა. ამას გარდა, პოლ ბრიტანეთში გამართულ სხვა მარათონებშიც გამოდიოდა და საკმაოდ სტაბილური და ამტანი მორბენლის სახელიც დაიგდო.

არადა, პოლ ეპბლი „თავის დროზე“ მართლაც დაინვალიდებულა. 1994 წელს, როგორც ხერხემლის ტკივილით მძიმედ დაავადებულმა და დადამბლავებულმა, დახმარება ითხოვა. სამედიცინო გამოკვლევათა შედეგად იგი მართლაც მძიმე ავადმყოფად აღიარეს. პენსიაც დაუნიშნეს და საკმაოდ ძვირადღირებული ინვალიდის ეტლი, ყავარჯნები და სხვა მისთანებიც აჩუქეს. დროთა განმავლობაში სასწაული მოხდა და უიმედო ავადმყოფი თანდათან იმდენად გამოჯანმრთელდა, რომ ფეხზე დადგა, სატრენაჟორო დარბაზშიც ჩაეწერა, სადაც ისე დადიოდა, როგორც სრულიად საღ-სალამათი კაცი, თუმცა თავისი გამოჯანმრთელების თაობაზე შესაბამისი დეპარტამენტისთვის არ უცნობებია და პენსიას მთელი ხუთი წლის განმავლობაში უზრუნველად იღებდა. სამედიცინო და ტექნიკური ხარჯებისთვის გაწეულმა თანხამ 22 300 ფუნტს მიაღწია.

ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც პოლ ეპბლისთვის უბედური აღმოჩნდა, შემთხვევით ყველაფერს ნათელი მოეფინა. ერთ-ერთი გარბენისას იგი ტელეკამერის ობიექტივში მოხვდა და ტელეეკრანზე საკმაო ხანს მსხვილ პლანში გამოჩნდა. ამ დროს ტელეეკრანს სრულიად შემთხვევით თვალი მოჰკრა სოციალური დახმარების ჩინოვნიკმა, რომელიც პოლ ეპბლის კარგად იცნობდა და თვალებს არ დაუჯერა. თავისი უმწეო კლიენტი მილს მილზე მხნედ ფარავდა და ფინიშისკენ მიზანდასახულად მიიწევდა.

47 წლის პოლ ეპბლის თაღლითობის აღიარება მოუხდა და ახლა მას სასამართლო ელის.

**ავთანდილ ბუყიშელი**

## ევროპის VIII ჩემპიონატი
### კაცები. შესარჩევი ტურნირი. მესამე ჯგუფი

**დღეს. თბილისი. სპორტის სასახლე. 15.30 სთ**

# საქართველო — რუმინეთი

დღეს საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მორიგ მატჩს გამართავს. მერაბ მეტრეველის გუნდს თბილისის სპორტის სასახლეში მეტად რთული თამაში ელის კონტინენტის ერთ-ერთი წამყვანი სახელბურთო ქვეყნის — რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთან

# მოიგეთ და მიულოცეთ მწვრთნელს!



# რუმინეთი: ქართული ხელბურთის საჯილდაო ქვა

რუმინელები ერთ დროს, გასული საუკუნის 60-70 წლებში მთელს დუნიაზე ზემრისხანე ძალას წარმოადგენდნენ — ოთხჯერ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონობა, თუმც, მას შემდეგ ბუნებრივია, ბევრმა წყალმა და თაობამ ჩაიარა და სადღეისოდ, ვლახები უწინდელივით მრისხანედ ველარ გამოიყურებიან. ამდენად, ქართველებთან ერთად უწევთ საალმავლო გზის დაწყება.

მართალია, სასტარტო ტურში მათ ბულგარელებს უპრობლემოდ სძლიეს — 38:24 და 30:24, მაგრამ საერთო წარმატებისთვის, ანუ ოთხგუნდა ჯგუფში მინიმუმ მეორე ადგილის დასაკავებლად ეს ჯერ ვერაა სასურველი გარანტია და ამიტომაც რუმინელები დღეს თბილისში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

ცხადია, არც წინა ორ შეხვედრაში დამარცხებული მასპინძლები არიან ხელჩამოყრილები და ყოველმხრივ შეეცდებიან ამ უპრინციპულესი მატჩის მოგებას და საპლეიოფო შანსის შენარჩუნებას.

ქართველთა შემადგენლობაში ერთი ცვლილებაა — მუხლმტკივან რატი მსხვილიძის თამაში საბოლოოდ გამოირიცხა, რადგან ერთ კვირაში მენისკის ოპერაცია ელის. მის ადგილს გიორგი წივწივაძე დაიკავებს, ძირითადს კი ლევან ბერძენიშვილი დაუბრუნდა.

საპირველადგილო ამბიციის მქონე ლატვიის ნაკრებმა გუშინწინ ზედიზედ მესამე თამაში მოიგო - ბულგარეთის ქალაქ გაბროვოში მასპინძელთა გუნდს უპრობლემოდ სძლია, ოღონდ პირველი ტაიმის მიხედვით (14:14), კარგახანს თანაბარი, მძიმე ბრძოლა ყოფილა.

ბალტიისპირელებმა პრაქტიკულად გაინაღდეს საპლეიოფო საგზური, თუმც ჩვენს ჯგუფში ძალთა საბოლოო განაწილებაზე ბევრია დამოკიდებული თბილისში დღევანდელ შეხვედრაზე, რომელიც სპორტის სასახლეში 15 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

დაბოლოს, სასიამოვნო ამბავზე გუშინ 45 წლის შესრულდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი. ვულოცავთ მას დაბადების დღეს და სამწვრთნელო სარბიელზე დიდ წარმატებებსაც ვუსურვებთ, საამისოდ უპირველესი საჩუქარი კი მისი ბიჭებისგან რუმინელთა ძლევა იქნება.

**გია ახალაძე**

10 იანვარი

**ბულგარეთი 24:31 ლატვია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 0 | 0 | 101:73 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 0 | 68:48 | 4 |
| საქართველო | 0 | 0 | 2 | 49:70 | 0 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 3 | 72:99 | 0 |



## რეგულარული ჩემპიონატი

11 იანვარი

**ნიუ ჯერსი 2:3 სენტ ლუისი**

*1:1 1:2 0:0*

1:0 მედენი (5), 1:1 ტკაჩუკი (11), 2:1 ჯიონტა (21), 2:2 პაინოუტი (23), 2:3 დრეიკი (30)

**ფლორიდა 5:2 პიტსბურგი**

*1:0 1:1 3:1*

1:0 ოლიკაინენი (6), 2:0 ოლიკაინენი (31), 2:1 მალკინი (33), 3:1 ოლიკაინენი (44), 4:1 შტუმპელი (44), 4:2 არმსტრონგი (52), 5:2 ფლინა (55)

**სან ხოსე 2:3 ედმონტონი**

*1:3 0:0 1:0*

0:1 მ.ბერჟერონი (2), 0:2 მ.რუა (11), 0:3 სტოლი (12), 1:3 გოჩი (13), 2:3 ჩიჩუ (43)

**ჩიკაგო 1:2 ბუფალო**

*0:1 0:0 1:1*

0:1 ჰეხტი (5), 0:2 აფინოგენოვი (43), 1:2 არხიპოვი (60)



# უკაცრავად, ნახვამდის

**მაკა ჩახნაშვილმა** ზედიზედ მეორე სლემტურნირის საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლია — ისევე, როგორც შარშანდელ ამერიკის ღია პირველობაზე, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი ავსტრალიურ შეჯიბრსაც კვალიფიკაციის პირველივე წრეში გამოეთიშა. მაკას მეტოქე გოგონათა მსოფლიო რეიტინგის უპირობო ლიდერი, რუსთა ამომავალი ვარსკვლავი, 15 წლის [illegible]ვა იყო და ჩვენებური ბოლომდე კი ეომა ვუნდერკინდ სლავს, მაგრამ ორ სეტში — 5:7 4:6 დამარცხდა.

ჩახნაშვილის მარცხით ქართული ოზ-ოდისეა ასე ნაადრევად დასრულდა და ახლა მაისსა და პარიზულ „როლან გაროსს" უნდა დაველოდოთ, სადაც მაკას გარდა ჩოგანს, იმედია, ირაკლი ლაბაძეც გაიქნევს.

# მელბურნ-პარკის განთესილები

**წლის** პირველი სლემტურნირის ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გუშინ განთესილი მოთამაშეების სია გამოაქვეყნეს. კაცებს შორის პირველი ნომერი თავისთავად როჯერ ფედერერს ერგო. მას რაფაელ ნადალი მოჰყვება, რომლის ტრავმაც არც ისე რთული გამოდგა და წესით, ესპანელმა ვარსკვლავბიჭუნამ უეჭველად უნდა ითამაშოს მელბურნის კორტებზე.

მესამე ნომრად ასევე ტრავმირებული ნიკოლაი დავიდენკო განთესეს, ოღონდ ნადალისგან განსხვავებით, რუსის თამაში მაინც საეჭვოა. მასპინძელთა მთავარ იმედ ლეიტონ ჰიუიტს კი მეცხრამეტე ნომერი ერგო. თუმც ოზ ბიჭს ამაზე მეტად თავისი ახლადმოშუშებული ფეხის მდგომარეობა უფრო აწუხებს.

ფედერერის უმთავრეს კონკურენტად შერაცხული ენდი როდიკი მეექვსეა. განთესილებს შორის მოხვდა პირველობის ფარულ ფავორიტად მიჩნეული, მელბურნის შარშანწინდელი ტრიუმფატორი მარატ საფინიც, რომელიც 26-ე ნომრად განთესეს.

ჟუსტინ ენინ-არდენის არყოფნაში კი ქალთა ბადეში პირველი ნომრობა მარია შარაპოვას ერგო — რუს პრიმას ჯერ ასეთი პატივი არასოდეს ღირსებია. მაშას პირველობის მოქმედი ჩემპიონი ამელი მორესმო მოსდევს.

პირველ ათეულში 5 რუსი მოხვდა, რომლებმაც მთლიანად დაინაწილეს კენტი ნომრები — მესამე არცთუ ჯანმრთელი სვეტლანა კუზნეცოვაა, მეხუთე ნადია პეტროვა, მეშვიდე ელენა დემენტიევა, მეცხრე კი დინარა საფინა. განთესილთა სიაში კიდევ სამი რუსის მოძებნა შეიძლება.

მეოთხეა დიდებულ ფორმაში მყოფი და წლეულს ჩოგბურთიდან მიმავალი კიმ კლაისტერსი. პირველ ათეულში ასევე მოიძებნა ადგილი ორი შვეიცარიელისთვის — მარტინა ჰინგისი მეექვსეა, პატი შნიდერი კი მერვე.

**კახა ლომაშვილი**

<u>კაცები:</u> 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია); 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 4. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 5. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6. ენდი როდიკი (აშშ) 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) 8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 9. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 10. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 11. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) 12. ტომი ჰაასი (გერმანია) 13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 14. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 15. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) 16. დავიდ ფერერი (ესპანეთი) 17. იარკო ნიემინენი (ფინეთი) 18. რიშარ გასკე (საფრანგეთი) 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 20. რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 21. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 22. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 23. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 24. ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) 25. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 26. მარატ საფინი (რუსეთი) 27. ხოსე აკასუსო (არგენტინა) 28. სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 29. ქსავიე მალისი (ბელგია) 30. აგუსტინ კალერი (არგენტინა) 31. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 32. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)

<u>ქალები:</u> 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) 2. ამელი მორესმო (საფრანგეთი) 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) 5. ნადია პეტროვა (რუსეთი) 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) 8. პატი შნიდერი (შვეიცარია) 9. დინარა საფინა (რუსეთი) 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) 11. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 13. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) 14. ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 15. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 16. შაჰარ პირი (ისრაელი) 17. ანალენა გრონეფელდი (გერმანია) 18. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 19. ნა ლი (ჩინეთი) 20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) 21. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 22. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) 23. აი სუგიამა (იაპონია) 24. სამანტა სტოსური (ავსტრალია) 25. ანაბელ მედინა-გარიგესი (ესპანეთი) 26. მარია კირილენკო (რუსეთი) 27. მარა სანტანჯელო (იტალია) 28. ფლავია პენეტა (იტალია) 29. ალონა ბონდარენკო (უკრაინა) 30. ტატიანა გარბინი (საფრანგეთი) 31. ჟენგ ჟი (ჩინეთი) 32. ელენი დანილიდუ (საბერძნეთი)

# კლაისტერსმა ნალი გატეხა



კიმ კლაისტერსი

**ჩოგბურთის** გულშემატკივარს კარგად ემახსოვრება ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ორი წლის წინანდელი ნახევარფინალი მარატ საფინსა და როჯერ ფედერერს შორის — იმ მეტად დაძაბულ და ულამაზეს სანახაობაში რუსმა იხეირა და შემდეგ ჩემპიონობაც დაიბევა.

ჰოდა, შურისძიების დრო „მხიარულ როჯერს" გუშინ დაუდგა, როცა „კუიონგ კლასიკის" ნახევარფინალში დასცა გიგანტი რუსი და სეზონში პირველ ფინალსაც ითამაშებს. თუმც თვითონ შვეცარიელისთვის მთავარი ის უფროა, რომ წინა შეხვედრასთან შედარებით აშკარად მოუმატა და გუშინ გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ისიც სათქმელია, რომ შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა და მაყურებელმა კვლავ უმაღლესი დონის ჩოგბურთი იხილა, სადაც გადამწყვეტ ფაქტორად შვეცარიელის უფრო მყარი ნერვული სისტემა იქცა. ფედერერი ახლა ფინალურ მეტოქეს ელოდება, რომელიც დღეს ორი ენდის, როდიკისა და მიურეის შეხვედრაში გაირკვევა.

მეორე წელია, ჯეიმს ბლეიკი დაუმარცხებელია სიდნეის კორტებზე — შავტუხა ამერიკელმა აქ შარშანაც მოიგო და წელსაც ნახევარფინალს სულ ნარნარით უწია, სადაც ადგილი ევგენი კოროლიოვის ძლევით დაიბევა. აი, მარკოს ბაღდატისი კი კინაღამ ტრავმირებულთა სოლიდურ სიას შეემატა, როცა კარლოს მოიასთან მეოთხედფინალში ფეხი გადაუბრუნდა. თუმც კვიპროსელმა თამაშის ჩამთავრება შეძლო და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მელბურნის კორტებზეც უპრობლემოდ გავა.

დიდებულ ფორმაში ხვდება პირველ სლემტურნირს კიმ კლაისტერსი. ფუმფულა ბელგიელმა ერთი კვირის წინ ჰონკონგის საჩვენებელი ტურნირში ხიფყველა აჯობა და აგერ ახლა სიდნეიშიც ჩაუქრობს. თუმც ისიც სათქმელია, რომ ფინალში გასასვლელად ბლომად ოფლის დაღვრა მოუწია ჩინელ ნა ლისთან.

კლაისტერსს გადამწყვეტ შეხვედრაში ელენა იანკოვიჩი დაეტაკება. გუშინწინ, ამელი მორესმოს დამარცხების შემდეგ, სერბი ამბობდა, წლეულს წესიერად არავის გამოვუცდივარ, ჩემი სუსტი მხარეები რომ დამენახაო. აი, გუშინ კი იანკოვიჩს ნიკოლ ვაიდიშოვამ ურთულესი ტესტი ჩააბარებინა და რომ არა თვითონ ახალგაზრდა ჩეხის უამრავი შეცდომა, სერბი ამ გამოცდაზე უეჭველად ჩაიჭრებოდა.

**კახა ლომაშვილი**

# რაც მაღლა, მით უკეთესი

## საქართველოს საუკეთესო მსოფლიო მწვერვალებზე ფიქრობს

**გასული წელი ქართულ სპორტში ყველაზე წარმატებული ძიუდოსტებისთვის რომ იყო, ახლახან ჩატარებულმა გამოკითხვებმაც დაადასტურა, წლის სპორტსმენი კი ზაზა კედელაშვილი გახდა. ევროპული ოქროს მომგებმა შემოდგომაზე მსოფლიოს გუნდური ოქროს სიხარულიც გამოცადა და რაც მთავარია, ამ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მედლის მოპოვებაზე ძნელი მისი შენარჩუნებაა — ასეთია ზაზას დევიზი და სამომავლო ტურნირებისთვის აქედანვე დიდი მონდომებით ემზადება. ეს ინტერვიუ დილის ვარჯიშის დასრულების შემდეგ ჩავიწერეთ**



— 2006 წელი უკვე ისტორიაა, მაგრამ ჩემთვის იგი მართლაც დაუვიწყარია. ამდენი სიხარული აქამდე ერთად არასოდეს განმიცდია. სპორტულ გამარჯვებებზე არანაკლები ბედნიერება წლის ბოლოს მელოდა. მთელი ნაშრომ-ნაწვალები სათანადოდ დამიფასდა. წლის პირველობა ძლიერი სპორტსმენებით მდიდარ ქვეყანაში წარმოუდგენელი ბედნიერებაა. მადლობა ამ დაფასებისთვის.

**— გულახდილად თქვი, 2006 წლის დასაწყისში თუ იფიქრებდი, რომ ასეთი წელი გექნებოდა?**

— რას ამბობ, შარშან ამ დროს საერთაშორისო აღიარებაზე მეტად იმაზე ვფიქრობდი, საქართველოს ნაკრებში დავმკვიდრებულიყავი.

**— ეროვნულ გუნდში ფეხის მოკიდებას რამდენიმე წელი ამაოდ ცდილობდი. რა იყო ამის მიზეზი?**

— სიმართლე გითხრა, ეს კითხვა კარგა ხანს ჩემთვისაც უპასუხო იყო. ასაკობრივ ნაკრებებში საერთაშორისო არენაზე რამდენიმეჯერ გავედი. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც მოვიპოვე მედლები, მაგრამ ძირითად გუნდში ჩემს შესაძლებლობებს ვერა და ვერ ვამტკიცებდი. საქართველოს პირველობებს მშვენივრად ვჭიდაობდი, უცხოეთში კი... მიზეზი ალბათ მაინც გამოუცდელობა იყო.

**— წლის დასაწყისში ნაკრების შემადგენლობაში ჩაეწერე და გაზაფხულის ბოლოს უკვე დიდი გამარჯვება მოიპოვე. ევროპის ჩემპიონატზეც ბევრად გამოცდილ მეტოქეებთან მოგიწია დაჭიდება...**

— მართალია. ოთხთვიან მონაკვეთში გამოუცდელობის პრობლემის მოგვარება ცოტა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ იანვრიდან მაისამდე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლამ ჩემი თავის რწმენა ერთიორად გამიძლიერა. საქართველოს, ჩეხეთისა და პორტუგალიის მსოფლიოს თასებზე კვარცხლბეკზე ასვლა შევძელი. პარიზულ სუპერთასზე კი 73 კილოგრამში მედლამდე ერთი ნაბიჯი დამაკლდა. ეს შედეგები უკვე იმხელა სტიმული იყო ჩემთვის, ევროპის ჩემპიონატზე მიმავალი მედალზე სერიოზულად ვფიქრობდი. როგორც მოგვიანებით გავიგე, ჩემს მედალს მწვრთნელებიც გეგმავდნენ, ოღონდ ჩემპიონობას არა. როცა კენჭისყრის ბადე ვნახე, მაშინვე ვთქვი, რომ ფინალში გავიდოდი. მეორე მხრიდან კი ფრანგ ბენჟამენ დარბალეს ველოდი. ასეც მოხდა.

**— დარბალესთან ევროპის ჩემპიონატამდე წაგებული გქონდა...**

— პრაღის მსოფლიოს თასის ფინალში გაფრთხილებით მაჯობა, მაგრამ მაშინვე ვირწმუნე, რომ შემდეგი შეხვედრა ჩემი იქნებოდა.

**— რეალურად ვის მიიჩნევ ევროპაში უმთავრეს კონკურენტად?**

— რამდენიმეს ჩამოთვლა შეიძლება. წინა პლანზე კი მაინც დარბალეს და აზერბაიჯანელ ელჩინ ისმაილოვს დავაყენებ.

**— მსოფლიოში?**

— რა თქმა უნდა, იაპონელებს: უჩიშიბასა და აკიმოტოს. ამ უკანასკნელმა შარშან თბილისის ტურნირის ფინალში მომიგო. არ შეიძლება არ ვახსენო ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი ჟოაო დერლიც.

**— ევროპის პირადი პირველობის გარდა შარშან მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატიც მოიგე. ამ ორ სიხარულს ხომ არ შეადარებდი?**

— გუნდური გამარჯვებით განცდილი სიხარული ბევრად უფრო დასამახსოვრებელი იყო. მთელი ნაკრები ერთად ვზეიმობდით. ევროპაზე კი ჩემპიონობა ისე ვერ გამოვხატე.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებულმა მძიმე ტრავმამ საქართველოს პირველობა გამოგატოვებინა. 66-კილოგრამიანთა ჩემპიონპრიზიორებზე რას იტყვი?**

— ვერცხლისმედალოსან იაკობაშვილის გარდა ყველას ვიცნობ. ძლიერი ბიჭები არიან. იაკობაშვილი კი მართლაც ტურნირის აღმოჩენა იყო. ბრწყინვალედ იჭიდავა. მძიმე შიდა კონკურენცია არ მაშინებს. პირიქით, ეს დამატებითი მუხტია. თითოეულ წონაში რაც უფრო მეტი ძლიერი ძიუდოისტი იქნება, ქართული ძიუდო უფრო წინ წავა.

**— ტრავმა ბოლომდე მოიშუშე?**

— კარგა ხანია, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ორ კვირაში საერთაშორისო სეზონი თბილისის მსოფლიოს თასით იხსნება და მისთვის ვემზადები. მოგეხსენებათ, ტიტულიან სპორტსმენთან ყველა გაორმაგებული ენერგიით ჭიდაობს. აქედან გამომდინარე, ვიცი რა მძიმე სეზონი მელის.

**— წონის პრობლემა ხომ არ გაწუხებს?**

— ეს პრობლემა ჩემთვის უცხო ნამდვილად არაა. ჩვეულ წონაზე ამჯერადაც ბევრით მძიმე ვარ, მაგრამ ტრადიციულად, ტურნირის წინ დავიკლებ.

**— 73 კილოგრამში ასვლაზე არ ფიქრობ?**

— პეკინის ოლიმპიადამდე 66-ში დავრჩები. მერე ვნახოთ.

**— წლეულს შარშანდელზე მძიმე სეზონი გელის. საინტერესოა, რა მიღწევებს გეგმავ?**

— მთავარი ტურნირი შემოდგომაზე ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატია და მის კვარცხლბეკზე ასვლა მსურს. რაც უფრო მაღლა, მით უკეთესი. გარდა ამისა, ეს წელი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშება იწყება. სალიცენზიო მსოფლიოს თასებზე და სუპერთასებზე ქულების გროვებას მირჩევნია, პეკინის საგზური მსოფლიოს მედლით პირდაპირ გავინაღდო.

**— ბოლოს საკლუბო ტრანსფერზეც გკითხავ. ახლახან გადაწყვიტე, რომ კარიერა თურქულ კლუბში გააგრძელო...**

— მართალია. მომავალ სეზონში საკლუბო ჩემპიონატზე მე, ირაკლი ცირეკიძე და ლაშა გუჯეჯიანი სტამბოლური კლუბის სახელით გამოვალთ. ყველამ კარგად იცის, ძიუდო ფინანსურად მომგებიანი სახეობა არაა. თურქებმა კი საკმაოდ სარფიანი წინადადება შემოგვთავაზეს და ამიტომ დავთანხმდით. მინდა, ხალხმა სწორად გაგვიგოს. საქართველოს ღალატი არაფერ შუაშია.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ტამაკასუგა!

## კოკაი ნაგებიდან ითვლის



**სეზონის** გამხსნელ დიდ ბაშოზე გუშინ მესამედი მიილია და იმპერატორის თასისკენ მიმავალ გზაზე ერთი სეკიტორი დაწინაურდა. ალმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირამ, 35 წლის ტამაკასუგამ მასავით დაბალრეიტინგიან ასოფუძის აჯობა და ასპროცენტიანი დადებითი ბალანსი შეინარჩუნა. გუშინდლამდე მისმა თანალიდერმა ტოინოსიმამ კი ჯერაც უქულო მეტოქესთან წაიფორხილა. ტურნირის ორგანიზატორები დაბალრეიტინგიან ლიდერთა საჩემპიონო შანსებს ეჭვის თვალით რომ უყურებენ, ეს ტამაკასუგას სატურნირო კალენდარზეც ჩანს. წაუგებელი ლიდერის ძლიერ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირებაზე ჯერ არავინ ფიქრობს. მეექვსე ტურში ტამაკასუგა მორიგ რიგით მაეგაშირასთან, კაკიძოესთან დააწყვილეს.

ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად კი მრისხანე მონღოლი ასასიორიუ მიიჩნევა. ოცდამეერთე საუკუნის ერთადერთმა იოკოძუნამ გუშინ მეოთხე ქულა მიითვალა. „ცისფერი დრაკონის“ მორიგი მსხვერპლი თანამემამულე ტოკიტენკუ გახდა. მაღალრეიტინგიანი დიდკაცებიდან ასასიორუს მსგავსად ოთხ-ოთხი ქულა აქვთ ოძეკი ტიოტაიკაისა და სეკივაკე კოტომიცუკის. ვეტერანმა ოძეკი კაიომ კი გუშინ მეორედ წააგო და ლიდერის მდევართა ჯგუფსაც ჩამორჩა.

ლევან ცაგურიამ მეხუთე ტურში მესამედ წააგო. კოკაის ბალანსის გამინუსება ამჯერად მონღოლი კაკურიუს კისერზეა. ამ უკანასკნელმა ქართველის სასტარტო შეცდომით ისარგებლა და მძლავრი შეტევით არენის გარეთ გაიყვანა.

დღეს კოკაი ექსკომუსუბი ფუტენოს პირისპირ დადგება. ასასიორუ კოკუტენხოს დაუპირისპირდება, ტიოტაიკაი — კომუსუბი კისენოსატოს, ხოლო კოტომიცუკი — მასავით სეკივაკეს, მიაბიამას.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge